# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 16 იანვარი 2002 №2 (1524) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი დემეტრაძე რუსეთში მიდის

## ნაკრებში უთამაშებლობამ „სოსიედადის" ქართველს პრემიერლიგა ჩაუშალა



გიორგი დემეტრაძეს „სოსიედადი" ერთი წლით შეელევა

*ესპანეთში მოთამაშე პირველი და ჯერაც ერთადერთი ქართველი გიორგი დემეტრაძე პრიმერადივიზიონს უახლოეს დღეებში დატოვებს და კარიერას სავარაუდოდ რუსეთში გააგრძელებს.*

*დემეტრაძე სან სებასტიანის „სოსიედადში" ერთი წლის წინ კიევის „დინამოდან" გადავიდა, მაგრამ პრიმერადივიზიონში იშვიათად თამაშობდა, ამიტომაც გიორგი „სოსიედადის" ხელმძღვანელობას უკვე შეუთანხმდა და ერთი წლით კლუბისგან თავის დახსნაც მოახერხა — ბასკები თანახმა არიან, ქართველი დღესვე გაანათხოვრონ. დემეტრაძესაც მსურველთა რიგი დაუდგა და დღეს-ხვალ ის სასურველ გუნდში გადაბარგდება. ყველაზე მეტად რუსები აქტიურობენ და ქართველს მისაღებ პირობებს სთავაზობენ. იყო ვარიანტი, დემეტრაძეს თამაში ინგლისის პრემიერლიგაშიც განეგრძო, თუმც...*

— პრემიერლიგის ათეულში მყოფი კლუბი მეპატიჟებოდა, ყველა საკითხში შეთანხმებულნი ვიყავით, მაგრამ ბრიტანეთში სამუშაო ვიზის პრობლემა შემექმნა. საქმე ისაა, რომ ეროვნულ გუნდში მატჩების 75 პროცენტი არ მომიგროვდა. როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან იმ კლუბმა ითხოვა ცნობები ჩემს შესახებ, აღმოჩნდა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ნაკრებში 40 პროცენტი მითამაშია. სწორედ ეს გახლდათ ტრანსფერის, ალბათ, დროებით ჩაშლის მიზეზი. კი, შესაძლო იყო, რაღაც ხერხებით ჩემთვის ბრიტანეთში მუშაობის უფლება დაერთოთ, მაგრამ კლუბი თავის ავტორიტეტს გაუფრთხილდა და ჯერჯერობით ჩემი ინგლისში გადასვლა არ გამოვიდა.

**— რომელი კლუბი გიწვევდა?**

— ვერ გეტყვით, მენეჯერმა მთხოვა და იმიტომ. კლუბი რომ დავასახელო, შესაძლოა მენეჯერმა კლუბების ნდობა დაკარგოს.

**— თურქული „ბეშიქთაშია" მოწადინებული დემეტრაძის გადაბირებითო. მართალია?**

— მართალია და თითქმის ყოველდღე მირეკავენ, მაგრამ ჩემგან თურქებს უარის მეტი არაფერი ესმით. არ მსურს „ბეშიქთაშში" თამაში. თუ ქვეყანა დაიქცა და სხვაგან გადასვლა ვერ მოვახერხე, თურქეთში მერე გავემგზავრები.

**— მიწვევები ბევრი გაქვს. ვიცით, ფრანგული „ბასტიაც" გეპატიჟება.**

— მეპატიჟება, თუმც ამ ვარიანტისგანაც ჯერჯერობით თავს ვიკავებ.

**— ესე იგი, უფრო რეალური წინადადება გაქვს.**

— რუსეთში დაბრუნებას მთხოვენ და, ალბათ, დავთანხმდები. „სოსიედადის" ხელმძღვანელობას უკვე ვესაუბრე და დავითანხმე, რომ ერთი წლით გამანათხოვრონ. დღესვე შემიძლია სან სებასტიანი დავტოვო.

**— რომელი რუსული კლუბი გეპატიჟება?**

— რომელიც შემოდგომიდან ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. მეტს ვერ დავაკონკრეტებ. თუმც, ვფიქრობ, საქმე თითქმის გადაწყვეტილია და რუსებს ზურგს არ შევაქცევ.

**— თუ დღესვე შეგიძლია „სოსიედადის" დატოვება და ასეთი რეალური ვარიანტი გაქვს, რატომღა ყოვნდები?**

— არ მსურს, ახალ კლუბს მოუმზადებელი შევუერთდე. რამდენიმე დღე მუხლის ტკივილის გამო არ მივარჯიშია და მთლად სასურველ ფორმაში არ ვარ. ახლა მწვრთნელის მეთვალყურეობით ინდივიდუალურად ვვარჯიშობ.

**— თბილისის „დინამოში" დაბრუნებას გამორიცხავ?**

— ვერაფერს გეტყვი, „დინამოს" კი სურს ჩამოვიდე, მაგრამ კონკრეტული მათგან ჯერ არაფერი ისმის.

**კობა ინასარიძე**

# ლეიტონ ჰიუიტს საშინელება შეემთხვა: სხვისი ოცნება აუხდა






*წლევანდელ ჩოგბურთს სენსაცია დაებედა. ბედობის დღიდან დაიწყო და, „ავსტრალიის ღია პირველობა" უკვე დატოვა გუსტავო კუერტენმა, გუშინ კი — ლეიტონ ჰიუიტმაც. ავსტრალიელ ვარსკვლავს ზურგს უმაგრებდა მრავალი ფაქტორი: მსოფლიოს პირველი ჩოგნობა, ჩინებული სათამაშო ფორმა და კეთილად განწყობილი ათასობით ქომაგი, „მელბურნ პარკის" ცენტრალური კორტის კოხტა ტრიბუნები რომ შეევსოთ. ესპანელ ალბერტო მარტინს კი არაფერი ჰქონია ხელჩასაჭიდი, მაგრამ იომა, სამ საათზე მეტხანს ფეხები დაიწყვიტა და უდიდესი სენსაციაც გამოაცხო. ერთ-ერთ სხვა კორტზე კი ერთი ჩვეულებრივი შეხვედრა იყო, მაგრამ მნიშვნელოვანი ქართველებისთვის: ირაკლი ლაბაძე თამაშობდა. ქართველმა ღირსეულად დაიწყო, თეთრი აფრიკელი ბაირონ ბლეკი საწყის ორ სეტში დაჩაგრა, მერე კი საქმეში იღბალი თუ სხვა რამ დარღუბალა ჩაერთო და მორჩა — „დიდი სლემის" პირველ ტურნირს ერთადერთი ქართველიც აღარ ჰყავს.*

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი



ირაკლი ლაბაძე



ალბერტო მარტინმა პირველ ნომრად განთესილი, ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი წააქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავჭალაში ფული მოითხოვეს

## მერანის მოსკოველ პატრონს ხელფასის ფასი დაავიწყდა

*ორი თვეა, „მერანის" მწვრთნელ-ფეხბურთელთა უმრავლესობა კუთვნილ ხელფას-პრემიებს ელის. ავჭალაში ბოლოს შარშან ნოემბერში გაიხსნა სალარო. მაშინ კლუბის აქაურმა თავკაცებმა სექტემბერ-ოქტომბრის დავალიანება გაისტუმრეს. მერე საშემოდგომო ეტაპის მესამეადგილოსან ფეხბურთელებს ფული თვალითაც არ უნახავთ.*



„მერანის" ტექნიკურ დირექტორს ანზორ მამალაძეს (მარცხნივ) და კლუბის პრეზიდენტს დავით ფურცელაძეს ოთარ გაბელიამ და ფეხბურთელებმა კუთვნილი ხელფასი მოთხოვეს

...მეცამეტე ჩემპიონატში შესვენების გამოცხადებამდე „მერანმა" ორი უპრინციპულესი თამაში მოიგო. ავჭალელებმა ჯერ მცხეთაში შავი დღე აყარეს „ვიტ ჯორჯიას", მერე კი შინ წააქციეს „დინამო". მოპოვებულმა ექვსმა ქულამ ზექვსეულში მოხვედრის შანსი გააორმაგა და კმაყოფილ თბილისელ ხელმძღვანელებს ათქმევინა, 15 რიცხვამდე ყველა ვალს გავისტუმრებთო.

„სადაც ამდენი გვითმენია, ორ კვირასაც როგორმე გავიჭირვებთ" — სიტყვაზე ენდნენ მწვრთნელ-ფეხბურთელები კლუბის თავკაცებს, მაგრამ ერთ რამეში მაინც შეცდნენ. ხელმძღვანელებს არ დაუკონკრეტებიათ, ფულს რომელ 15-ში გამოაჩენდნენ. ორი 15 უკვე მიილია.

შარშან ივლისიდან მოყოლებული „მერანი" იგებდა თამაშებს. სატურნირო ცხრილის სათავეშიც იწონებდა თავს. მეორე საფეხურზეც კარგა ხანს იყო. მაშინაც წუწუნებდნენ ავჭალელები. მწვრთნელმა ოთარ გაბელიამაც ხომ თქვა, უკრაინელი მეუხინი შინ მიმყავს და ვაპურებო. კლუბის თავკაცებს მსგავსი განცხადებების მოსმენისას მძაფრი რეაქცია ჰქონდათ — როგორ გეკადრებათ, ჩვენი კლუბი ერთ-ერთი წელგამართულია საქართველოშიო.

...ვალი ვალს ემატებოდა და დღეს საფეხბურთო კლუბ „მერანს" თითოეული მოთამაშისა 2500 ლარი მართებს. ამას დაუმატეთ მწვრთნელებისა და ტექნიკური პერსონალის ანაზღაურება, ფეხბურთის ფედერაციაში მისატანი 26 ათასი ლარი („მერანისა" და მისი ფარმკლუბის სამონაწილეო თანხა, სხვადასხვა დისციპლინარული სასჯელის საზღაური) და დავალიანებაც სოლიდური გამოდის.

მხოლოდ ახლა ირკვევა, რომ კლუბის თავკაცებს ფეხბურთელებისთვის არც მეთორმეტე ჩემპიონატის ორი მატჩის პრემია გაუციათ. „მერანმა" შარშან გაზაფხულზე ფოთში „კოლხეთთან" ივაჟკაცა და შინ „დინამოსთან" არ წააგო.

...გუშინ „სინათლეზე" მოთმინებადაკარგული გუნდი ხელმძღვანელობას მიადგა და კუთვნილი მოსთხოვა. გუშინ მესამე ცდა იყო, რომელიც უშედეგოდ დასრულდა.ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო — კლუბის თავკაცებს არაფერი ებადათ და რას გასცემდნენ?!

ცნობილი ამბავია, „მერანი" საარსებო წყაროს მოსკოვიდან იღებს. ფულს იქაური სპონსორი იძლევა, მაგრამ ბოლო თვეებია, ძალიან გაძუნწდა პატრონი. საქმეს აქაურ ხელმძღვანელთა წინა საახალწლო მოსკოვურმა ვოიაჟმაც ვერ უშველა. არ გამოატანეს მოსკოვიდან ფული ქართველებს.

არა, იქაურ პატრონს ფეხბურთისადმი ინტერესი არ განელებია. ასე რომ იყოს, საფეხბურთო კლუბ „გოლეადორს", რომელსაც ბონდო კაკუბავა წვრთნის და ნიჭიერი ბიჭებითაა დაკომპლექტებული, დიდ ფულს არ დაახარჯებდა. „გოლეადორი" თითქმის სულ უცხოეთშია. ამჟამადაც ანთალიაში ზღაპრულ პირობებში ცხოვრობენ და ემზადებიან. მაშ, რაშია საქმე? — ამის გასაგებად შეიკრიბნენ ავჭალელები, მაგრამ ბევრიც ვერაფერი გაარკვიეს.

...დახურულ კარს მიღმა ვნებათაღელვა მძლავრობდა. პრეზიდენტ დავით ფურცელაძის მომცრო ოთახში მთელი გუნდი დატეულიყო. ვერ ნახავდით მხოლოდ სამ ფეხბურთელს. დევაძე, გოგიტაძე და ჭინჭარაული ანთალიაში გამგზავრებულან და „გოლეადორს" შეკედლებულები თურქეთში ეძებენ ბედს.

რამდენიმე ფეხბურთელი საუბრისას ზომაზე მეტადაც გაცხარდა. ხმას აუწიეს ბიჭებმა, მაგრამ თავის მოთოკვა მაინც მოახერხეს. — ვალი დაგვედო, ოჯახში რა მივიტანოთ, ან ფული მოგვეცით, ანაც გაგვათავისუფლეთო — ხმა უკანკალებდა ზოგიერთს.

„სინათლეზე" ქუთაისის „ტორპედოს" შეკედლებული იოსებ დევიძეც გამოჩნდა, რომელიც მოსკოვში ქუთაისელებს მხოლოდ იმიტომ არ გაჰყვა, რომ ეიმედებოდა, „მერანთან" საბოლოოდ გავარკვევ ურთიერთობასო. „არც მოსკოვი და არც ფული" — ამბობდა ფეხბურთელი, რომელიც გუშინ იმას წუხდა, 600 ლარი ვალი რომ დამიგროვდა, რითი და როგორ გავისტუმროო. ზოგს შუქისა და გაზის ფული ვერ გადაუხდია, ზოგსაც ის აღარდებდა, ინდივიდუალურად რომ ვივარჯიშოთ, გზის ფული საიდან მოვიტანოთო.

„მერანის" მეგოლე სულიკო დავითაშვილს თავისი ბედი ნაწილობრივ გადაუწყვეტია. ის „ლოკომოტივის" კუთვნილებაა, ავჭალაში იჯარით ბურთაობდა და ისევ უკან გაბრუნება სურს, მაგრამ კუთვნილი ერგება და გუშინ სხვებზე მეტად ის აქტიურობდა.

ერთი საათი კამათისა და ყვირილის შემდეგ გადაწყვიტეს — ფეხბურთელები ერთხელაც, 20 იანვარს, შეიკრიბებიან „სინათლეზე". კუთვნილს დაელოდებიან. იქნება ფული, ხომ კარგი, გუნდი წვრთნას შეუდგება, არადა, ბიჭები გათავისუფლების ფურცლებს მოითხოვენ და თავიანთ გზას ეწევიან.

...დამთავრდა კრება, ფეხბურთელებიც ნელ-ნელა დაიშალნენ. „სარბიელმა" კი „მერანის" თბილისელი თავკაცობა შეაწუხა და კლუბის მენეჯერ ვოვა ჩერქეზოვს და მწვრთნელ ოთარ გაბელიას გაესაუბრა.

**ოთარ გაბელია:** მე ფეხბურთელებს ვერაფერს მოვთხოვ და ვუსაყვედურებ. ისინი კუთვნილს და დამსახურებულს მოითხოვენ. თუ გვსურს, მიღწეული შევინარჩუნოთ და მართლა გუნდი გვერქვას, მაშინ 20 იანვრიდან ვარჯიში უნდა დავიწყოთ, არადა...

**ვოვა ჩერქეზოვი:** „მერანი" არავითარ შემთხვევაში არ დაიშლება. გუნდი ითამაშებს და უეფას საგზურსაც მოიპოვებს. გიჟად ნუ გამომაცხადებთ, ამას სერიოზულად ვამბობ. მართალია, ახლა ძალიან გვიჭირს, მაგრამ 20 იანვრისთვის ყველაფერი რიგზე იქნება.

სწორედ ამაზეა ნათქვამი, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. არც 20 იანვარია შორს და ღმერთმა ინებოს, „მერანი" გამოცოცხლდეს. ფაქტი ერთია, გუნდი იარსებებს, მაგრამ საკითხავია, როგორი?

**მამუკა ძვანტალიანი**

# ტორპედოს სამში უნდა



რევაზ ძოძუაშვილი

**19 იანვარს** მოსკოვში თანამეგობრობის თასის მეათე საიუბილეო ტურნირი დაიწყება. შარშანდელივით, საქართველოს წლეულსაც ქვეყნის ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო" წარმოადგენს.

ქუთათურებს „საესენგეოდ" სერიოზული მიზნები აქვთ დასახული, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ რევაზ ძოძუაშვილმა გუნდი ტურნირის დაწყებამდე ორი კვირით ადრე ჩაიყვანა მოსკოვში.

შეგახსენებთ, „ტოპედომ" შარშან სამივე მატჩი მოიგო ქვეჯგუფში და საქართველოს ჩემპიონს A ჯგუფში თამაშის უფლება მოუპოვა, რაც პირველობისთვის ბრძოლის საშუალებას იძლევა. რევაზ ძოძუაშვილის განცხადებით, პროგრამა-მინიმუმი მისი გუნდისთვის საპრიზო სამეულში მოხვედრა იქნება.

არცთუ მოკრძალებული ამბიციაა, თუ გავიხსენებთ იმას, რომ საქართველოს ჩემპიონის რიგები ერთბაშად ოთხმა ფეხბურთელმა დატოვა. იმედაძე და მახვილაძე „ალანიასთვის" თავის მოწონებას ცდილობენ, გიორგი შენგელია კვიპროსის „აპოლონში" ისინჯება, გუჩუა კი „ანჟის" სიტყვას ელოდება. მოსკოვში ძოძუაშვილმა სამი ახალწვეული იახლა. ესენი 19 წლის ვლადიმერ ძაგნიძე, მისივე თანატოლი თემურ მალანია და 20 წლის ვლადიმერ ქუთათელაძე არიან.

„ტორპედო" „ლოკომოტივის" ბაზაზე ემზადება და გუშინწინ საკონტროლო მატჩში „ხიმკის" შეხვდა. ქუთაისელებმა ფრედ, 1:1 ითამაშეს. ძოძუაშვილის გუნდიდან სილაგაძემ გამოიჩინა თავი. ლევანმა პენალტით აღადგინა წონასწორობა.

ქართველები „თანამეგობრობის" თასზე პირველ მატჩს 19 იანვარს „სკონტოსთან" გამართავენ. ლატვიელთა გარდა ტორპედოელები B ჯგუფში ყაზახეთის ჩემპიონს, ასტანის „ჟენისს" და რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებს დაუპირისპირდებიან. მათ მეოთხედფინალში გასვლის კარგი შესაძლებლობაც აქვთ, რადგან რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები უკონკურსოდ მონაწილეობს, რაც მხოლოდ ჯგუფში თამაშს ითვალისწინებს.

„ტორპედოს" საესენგეო განაცხადი კი ასეთია:

*მეკარეები: დავით გვარამაძე, ზვიად სტურუა*

*მცველები: ვლადიმერ ძაგნიძე, ვახტანგ აკოფიანი, რევაზ ქემოკლიძე, ლაშა ჭელიძე, გივი დიდავა, ლევან სილაგაძე, დავით გამეზარდაშვილი, ვალერი აბრამიძე, ვახტანგ ხვადაგიანი.*

*ნახევარმცველები: მალხაზ ასათიანი, შოთა ბაბუნაშვილი, ზურაბ ძამსაშვილი, ბორის გონჩაროვი, ზურაბ იონანიძე*

*თავდამსხმელები: ზვიად ქუთათელაძე, ვლადიმერ ქუთათელაძე, რომან ახალკაცი, თემურ მალანია, დიმიტრი პარამონოვი, პაატა გვირჯიშვილი, ანდრეი პოროშინი.*

**ბაატა ძვანტალიანი**



თენგიზ კაცია

# კაცია მერმა კმაყოფილი დატოვა

## გორდა იმატებს და იმედოვნებს

**გუშინ** რუსთავის მერის ლაშა მინდელის კაბინეტის კარი „გორდას" მწვრთნელებმა შეაღეს. თენგიზ კაცია და კომპანია კლუბის პრეზიდენტთან სამომავლო გეგმებს განიხილავდა.

„საბოლოოდ ჯერ არაფერი გარკვეულა, მაგრამ გუშინდელი შეხვედრით მაინც კმაყოფილი დავრჩი" — გვითხრა სატელეფონო საუბრისას თენგიზ კაციამ. „გორდას" 20 იანვარს ყველაფერი გადაწყვეტილი ექნება, მანამდე კი რუსთაველები ქალაქის ტყე-პარკში წვრთნას აგრძელებენ.

დღეს კაციას ხელმძღვანელობით რუსთაველ ფეხბურთელებთან ერთად ახალწვეულებიც ვარჯიშობენ — ზურაბ ბათიაშვილი „დინამოდან", დავით გოდერძიშვილი „ლოკომოტივიდან", კახა ებრალიძე „გურიადან" და ჯაბა თავბერიძე, რომელიც ქომაგს ქუთაისის „ტორპედოდან" შეიძლება ახსოვდეს. თავბერიძეს წელიწადზე მეტია არ უთამაშია. თავის დროზე პერსპექტიული ახალგაზრდა ჯანმრთელობის პრობლემებმა შეაწუხა, მან ოპერაციაც გადაიტანა და მეცამეტე ეროვნულის დასაწყისში ზესტაფონის „მეტალურგში" ირიცხებოდა, თუმც ერთი მატჩიც არ უთამაშია.

ამათ გარდა კაცია ხობიდან და სენაკიდან ჩამოყვანილ რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშეს აკვირდება და მწვრთნელს იმედი აქვს, რომ ის ბიჭები ორ წელიწადში კარგი ფეხბურთელები დადგებიან.

„გორდა", რომელიც საშემოდგომო ეტაპის შემდეგ გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილზეა, 20 იანვარს ამხანაგურ მატჩს თსუ-ს გაუჯიბრება.

**მამუკა ძვანტალიანი**

### ინგლისი

**პირველი დივიზიონი — გადადებული მატჩი**

მილუოლი 1:0 უოტფორდი

**მეორე დივიზიონი — გადადებული მატჩი**

ბერი 0:0 ჰადერსფილდი

**მესამე დივიზიონი — გადადებული მატჩები**

სკანთორპი 3:4 ექსეტერი

ჰალი 0:1 კარლაილი

შრიუსბერი 0:1 როშერსი

**ასოციაციის თასი — ოცდამეთორმეტედფინალი**

ბრაიტონი (II) 0:2 პრესტონი (I)

ძრიუ (I) 2:1 შეფილდ უენსდი (I)

დარლინგტონი (III) 2:2 პიტერბრო (II)

**გადათამაშება**

იორკი (III) 1:0 გრიმსბი (I)

მიდლსბრო 2:0 უიმბლდონი (I)

ფულემი 1:0 უიკომბი (II)

### თურქეთი

**გადადებული მატჩი**

გალათასარაი 5:1 ქოჯაელისპორი

### ესპანეთი

**თასის მეოთხედფინალი — საპასუხო მატჩი**

ბილბაო 1:0 ვილიარეალი (2:0)

### ბელგია

**თასის მეოთხედფინალი**

მუსკრონი 5:2 დ.დ. (2:2) გენკი

### შოტლანდია

**თასის მეთექვსმეტედფინალი**

ბერვიკი (II) 0:0 რეინჯერსი

**გადათამაშება**

ჰიბერნიანი 4:0 სტრანრარი (II)

### საბერძნეთი

**თასის მერვედფინალი — საპასუხო მატჩი**

პაოკ 1:0 ალკიდონა (3:0)

იყიდება ან ქირავდება
შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი იზოლირებული ბინა სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი აირით და ტელეფონით ტელ: 60-21-23

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოსეთი-შოტლანდია
## ხაზიზგინა გაფათავეთ, ჩამოასხით ვისკი

**საქართველოს** ნაკრების კაპიტანმა და შოტლანდიური „დანდის“ ნახევარმცველმა გიორგი ნემსაძემ, რომელსაც უკვე სამი თვეა არ უთამაშია, ორიოდე დღის წინ ვარჯიში ინდივიდუალურად განაახლა.

ნაახალწლევს ის თბილისიდან ციურიხს გაემგზავრა, მკურნალ ექიმს გაესინჯა, მისი რეკომენდაციით შოტლანდიას დაუბრუნდა და ახლა ძალ-ღონის აღდგენას ტრენაჟორების დახმარებით ცდილობს. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ კი გიორგი ნემსაძე, ალბათ, გუნდს შეუერთდება და ვარჯიშს სრულ დატვირთვით შეუდგება. ოღონდ იქამდე, ქართველ ნახევარმცველს ერთხელაც მოუწევს ციურიხში ჩასვლა და ექიმთან კონსულტაცია.

„დანდის“ მეორე ქართველმა ზურაბ ხიზანიშვილმა კი წინა კვირაში იტალიაში გაიკეთა მენისკისა და ჯვარედინი იოგების ოპერაცია და გუნდს ექვსი თვით მაინც დააკლდება. ხიზანიშვილი ამჟამადაც იტალიაშია და შოტლანდიაში უახლოეს დღეებში დაბრუნდება.

ამ ტრავმამ ზურას ხელი შეუშალა, „რეინჯერსთან“ მოლაპარაკების დასრულებაში. საქმე ის გახლავთ, რომ „რეინჯერსს“ ძალიან სურდა, ქართველი მცველი გადაებირებინა, „დანდის“ ხელმძღვანელობაც საქმის კურსში იყო, მაგრამ ზურას მძიმე ტრავმამ მოლაპარაკება შეაჩერა და ზაფხულამდე გადადო.

ამასობაში „დანდი“ კიდევ ორი ქართველი ფეხბურთელით დაინტერესდა და ეტყობა ვლადიკავკაზის „ალანიის“ მაგალითს მისდევს. თავის დროზე ოსეთშიც ხომ თამაშობდა ერთდროულად ხუთი ქართველი და, შესაძლოა, „დანდიც“ ქართველთა კლუბად იქცეს. ამჯერად მწვრთნელმა ივანე ბონეტიმ მოიწადინა, რომ შვეიცარიული „ციურიხის“ ორივე ქართველი — გოჩა ჯამარაული და მიხეილ ყაველაშვილი თავის გუნდში იხილოს. შოტლანდიელებმა ჩვენებურთა თამაშზე მოლაპარაკება შვეიცარიელებთან უკვე წამოუწყიათ. კიდევ ჯამარაულის „დანდიში“ გადასვლა-არგადასვლის საკითხი, როგორც შევიტყვეთ, თებერვლის დამდეგს უნდა გაირკვეს, ყაველაშვილის ამბავი კი, ვფიქრობთ, მალე არ გადაწყდება. ბევრი რამ, ცხადია, „დანდის“ ფინანსურ შესაძლებლობაზეც არის დამოკიდებული, რასაც დღესდღეობით სახარბიელო არ ეთქმის.

სიტყვამ მოიტანა და მიხეილ ყაველაშვილი, რომელმაც ახლახან მუხლის ოპერაცია გაიკეთა, ნემსაძის მსგავსად ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს და გუნდს დაახლოებით ორ კვირაში შეუერთდება. „ციურიხი“ ახლა ერთკვირიან შეკრებაზე მექსიკაში მიემგზავრება, იქიდან დაბრუნებულ კი სრულიად გამოჯანმრთელებული დავხვდება“ — იმედოვნებს მიხეილ ყაველაშვილი, რომელიც შვეიცარიის ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ ბომბარდირთა შორისაა.

**კობა ინასარიძე**



ბადრი ქითილაძის ფოტო



ნუკრი ვარდანიძის ფოტო

შოტლანდიური „დანდის“ ტრავმირებულ ქართველებს ზურაბ ხიზანიშვილს და გიორგი ნემსაძეს შესაძლოა გოჩა ჯამარაულიც შეუერთდეს

# თებერვალი დადგებაო, მუხლში ხრტილი ჩადგებაო



არჩილ არველაძის (მარჯვნივ) „კიოლნი“ ბუნდესლიგისთვის ემზადება, არჩილი კი საოპერაციოდ

**თუ რომელიმე** ქართველ ფეხბურთელს შეუპოვრობასა და ჟინს შეუქებენ, იქ არჩილ არველაძეზეც უნდა ვთქვათ. ამ ფეხბურთელს რამდენიმე მძიმე ტრავმა და რთული ოპერაცია აქვს გადატანილი და, ალბათ, მხოლოდ ძლიერი ნებისყოფის ხარჯზე თუ ახერხებდა ფეხზე წამოდგომას და კარიერის გაგრძელებას.

ბუნდესლიგური „კიოლნის“ ქართველი შემტევი შარშან შემოდგომაზე დაშავდა. დაახლოებით თვენახევრის წინ მენისკის ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

— ახლა არა მიშავს, თავს ნორმალურად ვგრძნობ, მაგრამ ვარჯიშის განახლებამდე ჯერ შორსაა, რადგან თებერვალში მეორე ოპერაციის გაკეთება მომიწევს — მარჯვენა ფეხზე ხრტილი უნდა გადამინერგონ. სარეაბილიტაციო პერიოდი დაახლოებით სამ თვეს გასტანს და ამ სეზონში ალბათ თამაში არ მომიწევს — გვითხრა არჩილ არველაძემ, რომელსაც კიოლნში შევეხმიანეთ.

„კიოლნი“ დღეს დაბრუნდა შინ ესპანური შეკრებიდან. ევალდ ლინენის გუნდს ბუნდესლიგაში საქმეები კარგად არ მისდის, ოღონდ მე-15 ადგილზეა. თუმცა კიოლნელებს შესულიათ თავი იმით იმედოვნებენ, რომ მათი და საერთოდ გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა ფორვარდი კრისტიან ტიმი გამოჯანმრთელდა და ვარჯიშს დაიწყებს.

**დავით თავართქილაძე**

# ქართველებს აკონტროლებენ
## გახოკიძემ ეინდჰოვენს ჰამბურგი დაამარცხებინა

**გერმანიაში** საწვრთნელ შეკრებაზეა ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენი“. ერიკ გერეტსმა 30 ფეხბურთელი წაიყვანა მოსამზადებლად, მათ შორისაა ქართველი გოგა გახოკიძეც.

ჰოლანდიელებმა ორი საკონტროლო მატჩი გამართეს. პირველ შეხვედრაში მათი მეტოქე გერმანული „ზანკტ პაული“ იყო. გერეტსის ბიჭებმა ერთობ მოიგეს და 5:1 დაამარცხეს მასპინძლები. გახოკიძე სათადარიგოთა შორის იყო და არ უთამაშია.

სამაგიეროდ, გოგამ მეორე საკონტროლო მატჩში მისცეს თავის გამორჩენის საშუალება. პსვ-ს გაცილებით ძლიერი მეტოქე ჰყავდა „ჰამბურგის“ სახით. გახოკიძე მეორე ტაიმიდან ჩაერთო თამაშში და 7 წუთში სწორედ მისი პასით გახსნა ვან ბომელმა ანგარიში. ჰამბურგელმა მაჰდავიკიამ მატჩის ბოლოს გათანაბრება მოახერხა. შეხვედრა 1:1 დასრულდა და საქმე პენალტებამდე მივიდა, იქ კი გადამწყვეტი სიტყვა სწორედ გახოკიძემ თქვა. მისი დარტყმის შემდეგ ანგარიში 6:5 გახდა, პრეგერმა კი დარჩენილი ცდა ვერ გამოიყენა და პსვ-მ გაიმარჯვა.

თურქულ ბელიკში იმყოფება შეკრებაზე რუსეთის ჩემპიონატში მონაწილე ორი „ქართული“ გუნდი.

პაატა ჯინჭარაძის „სოკოლი“ ჰოლანდიურ „ნაიმეგენს“ გაეჯიბრა და 0:2 წააგო. ეს, შეკრებაზე მყოფ სარატოველთა პირველი მარცხი იყო. მანამდე „სოკოლს“ სამი მეტოქე ჰყავდა დაჯაბნილი და იქნებ ჰოლანდიელთათვისაც ეჯობნა, 0:0-ზე მეკარე ჟილკოვს პენალტი რომ გამოეყენებინა. ჯინჭარაძემ პირველი ტაიმი ითამაშა და მერე მწვრთნელებმა მარკევიჩით შეცვალეს.

ბელიკშივე, სასტუმრო „სოლ ბელვილის“ მოედანზე ითამაშა „ანჟიმ“. დაღესტნელებს მეტოქედ გერმანული „არმინია“ ჰყავდათ. ლეგიონერებით მომძლავრებულმა „ანჟიმ“ მეორებუნდესლიგელს ვერაფერი მოუხერხა და 1:2 დამარცხდა. სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა გუნდის ახალწვეულმა კახა მეავანაძემ. მან მხოლოდ ერთი ტაიმი დაჰყო მოედანზე, მეორე ნახევარში კი დაღესტნელებმა თერთმეტივე ფეხბურთელი შეცვალეს და მატჩის სამივე გოლიც დარჩენილ 45 წუთში გავიდა.

„როსტსელმაში“ მოსამზადებლად სამხრეთით ირჩია აპულიაში სხვებთან ერთად არიან მეკარე დავით მშვიძე და მცველი ოთარ ხიზანეიშვილი. „როსტსელმაში“ კახაბერ „ვეზის“ გაეცინდა. მატჩი უგოლოდ დასრულდა. მშვიძემ შეუცვლელად ითამაშა, ხიზანეიშვილი კი მეორე ტაიმში ჩაერთო თამაშში. მორიგ საკონტროლო მატჩს როსტოველები დღეს გამართავენ გერმანულ „კოტბუსთან“.

რუსეთის ჩემპიონატის პირველი ლიგის ყველაზე „ქართულმა“ გუნდმა, სმოლენსკის „კრისტალმა“ (სადაც ოთხი ჩვენებური თამაშობს), „დნეპრ-ტრანსმაში“ დაამარცხა — 2:1. ქართველთაგან მხოლოდ ზაველი ღლანიძეს არ უთამაშია. ზვიად ჯელაძე, თემურ გადელია და თენგიზ სიჭინავაც სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ. ყველაზე მეტად ჯელაძე აქტიურობდა. სწორედ მისი პასით გახსნა ანგარიში მარკოვმა.

**ბაატა ძგანტალიანი**



გიორგი გახოკიძე

# სიომინმა ჯანაშია დახლზე შემოდო, კაკაშვილი კი საფრანგეთში წაიყვანა



ზაზა ჯანაშია

**აშკარაა,** მოსკოვის „ლოკომოტივის“ თავკაცმა იური სიომინმა საბოლოოდ მოიძულა ქართველი ფორვარდი ჯანაშია. ზაზა ნელ-ნელა ჯერ სათადარიგოობას გააჩვია მწვრთნელმა, მერე კი მისთვის მატჩის ოქმშიც არ ემეტებოდა ადგილი.

ნაახალწლევს კი საბოლოო ვერდიქტი გამოიტანა სიომინმა. ზაზა ჯანაშია ტრანსფერზეა დაყენებული და დღეს ჩვენებური თანაგუნდელებთან ლავრიკთან და სარქისიანთან ერთად „ლოკომოტივის“ ფარმ-კლუბში ვარჯიშობს.

ამ დროს რუსეთის ვიცე-ჩემპიონი საფრანგეთში, დაბა ფონ-რემიუში იმყოფება ორკვირიან შეკრებაზე. სიომინმა თან 22 ფეხბურთელი იახლა, რომელთა შორის ქართველი მცველი ვლადიმერ კაკაშვილიცაა.

ეს პირველი უცხოური შეკრებაა კაკაშვილისთვის. მიუხედავად სიომინის დიდი სურვილისა, ჩვენებური შეკრებაზე ადრეც წაეყვანა, აქამდე ვერ მოხერხდა. კაკაშვილს ხან თვითმფრინავზე დააგვიანდა, ხან საპასპორტო პრობლემებმა შეუშალეს ხელი, ხანაც ტრავმებმა ჩამოარჩინა ძირითად გუნდს.

შეგახსენებთ, რომ კაკაშვილს „ლოკომოტივთან“ კონტრაქტი მარტში ეწურება, მაგრამ სიომინი უკვე მის გახანგრძლივებაზე ზრუნავს და ვიცე-ჩემპიონთა თავკაცი ალბათ საფრანგეთიდან მობრუნების შემდეგ აისრულებს კიდეც საწადელს.

21 წლის ქართველი მცველი რუს რკინიგზელთა დამრიგებელს „ურალანში“ გაქცეული ჩუგაინოვის შემცვლელად შეუგულებია.

ზაზა ჯანაშიას კი ნაბრძანები აქვს, თავდაუზოგავად ივარჯიშოს და ფორმა შეინარჩუნოს. „ლოკომოტივი“ აპირებს, ქართველი ფორვარდი პირველივე მსურველს მიჰყიდოს.

**გამუკა ძგანტალიანი**



ვლადიმერ კაკაშვილი

# Cup of Nations 2002 ! აფრიკის ერთვნებათა თასი 2002 (მალი). 19 იანვარი — 10 თებერვალი



ნიგერიელი „სუპერარწივები" ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტები არიან

დრო სწრაფად გარბის, უფრო სწრაფად, ვიდრე გვსურს. 2000 წლის 9 თებერვლის „სარბიელში", აფრიკის თასის წინა გათამაშებების საბოლოო მიმოხილვაში ვწერდით, 2002 წელს ისევ შევხვდებითო და მაშინ იგი ძალიან შორეულად მოჩანდა. არადა, უკვე 2002 წელია, შაბათს კი აფრიკის თასის გათამაშება, რომელიც, ჩვენი ევროპის ჩემპიონატის იქაური ანალოგია და ევროპის ჩემპიონატზე სამი წლით ხნიერია, ოცდამეჰამედ დაიწყება.

დაწყებით კი დაიწყება, მაგრამ როგორ, რომელი მატჩით, საკითხავი, ეს არის. თითქოს ყველაფერი ნათელია, კალენდარში გახსნის მატჩად მალი — ლიბერია წერია, მაგრამ...

## სამშობლო, ფული და ფეხბურთი
## ლიბერია აფრიკას განუდგა

**საწვრთნელ** შეკრებაზე კოტ დივუარში დაბანაკებულმა ლიბერიის ეროვნულმა გუნდმა გუშინ მალიში გამგზავრებაზე უარი განაცხადა. დავაზუსტოთ: უარი თქვა ოცდაერთმა ფეხბურთელმა, ოცდამეორე ჟორჟ ვეა კი, რომელიც იმავდროულად ნაკრების ტექნიკური დირექტორი და მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელიც გახლავთ, ბოლო კოტდივუარულ ვარჯიშზე ამაოდ ელოდა მეგობრებსა და შეგირდებს.

თავისთავად კონტინენტის პირველობაზე თამაში ვის არ სურს, მაგრამ საქმეში ფული რომ ჩაერევა (არადა, ფულიც ყველას უნდა), არჩევანი შესაძლოა, სხვაგვარი იყოს.

მოკლედ, ბოიკოტის მიზეზი ფულია: ლიბერიელი „ლომები" აფრიკის თასზე მხოლოდ მონაწილეობისთვის თითოეული ფეხბურთელისთვის თხუთმეტი ათასი დოლარის გადახდას მოითხოვენ, იქაური ფეხბურთის ფედერაცია კი ოდენ ამის ნახევარს ჰპირდება — ხომ იცით, ომით დატანჯული ღარიბი ქვეყნის შვილები ვართ, აბა, საიდან ამდენი ფულიო. თან პატრიოტიზმსაც ახსენებენ, ერთი სიტყვით, ანამუსებენ.

მაგრამ ფეხბურთელებს ნამუსისა და ეროვნული გრძნობების გაგონებაც არ სურთ, ფული ურჩევნიათ. აღნიშნული თანხის მოთხოვნისთვის კი ასეთი არგუმენტი აქვთ: ნაკრების გამო კლუბებიდან წამოსულები ვართ, შესაბამისად, იქაურ პრემიებს ველარ ვიღებთ და ხომ არ ვიზარალებთო.

როგორც უკვე ვთქვით, ერთადერთი ფეხბურთელი, ვინაც ბოიკოტს არ უერთდება ჟორჟ ვეა გახლავთ, რომელსაც ბოლოს და ბოლოს თანამდებობით მართებს ნაკრების ინტერესების დაცვა. ერთიცაა, საამიროული „ალ ჯაზირას" მოთამაშე ვეა ხომ მილიონერია და რაღაც თხუთმეტი ათასი დოლარი სულაც არ ანაღვლებს.

„ზოგიერთმა უკვე ჩაალაგა ჩემოდნები და შინ დაბრუნდა — თქვა ერთ დროს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა — ეს ამბავი ჩემპიონატის ნორმალურად ჩატარებას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის, ლიბერიული ფეხბურთისთვის კი დამღუპველი იქნება, რადგან ასეთ რამეს აფრიკის ფეხბურთის კონფედერაცია არ გვაპატიებს. ამიტომ სანამ დროა, ბიჭებს ვურჩევ, გონს მოეგონ".

შევნიშნოთ, რომ პრემიებთან დაკავშირებით სენეგალის ნაკრებშიც უკმაყოფილებაა — მათ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლისთვის დაპირებული პრემიები არ მიუღიათ და ასევე იმუქრებოდნენ, მალიში არ ვითამაშებთო.

ავად თუ კარგად, ლიბერიით თუ ულიბერიოდ, ტურნირი მაინც გაიმართება, ხოლო A ჯგუფში, რომელსაც დღეს „[illegible]", [illegible] გარდა მასპინძელი მალი, ნიგერია და ალჟირი თამაშობენ.

ჯგუფში ფავორიტად, ცხადია, ნიგერიელი „სუპერარწივები" ითვლებიან, რომელთაც საუკეთესოს ტიტული ორჯერ მოუგიათ (1980, 1994), ოთხჯერ კი ფინალში დამარცხებულან.

ალჟირი ორჯერ გასულა ფინალში, ჩემპიონი კი ერთხელ გახდა (1990) და მაშინ, სხვათა შორის, ნიგერიას მოუგო. მალის კი ოდენ ერთხელ ეღირსა ფინალში გაღწევა და მაშინაც წააგო.

**გიორგი დარჯანია**

### A ჯგუფი (ბამაკო)
**მალი, ლიბერია, ალჟირი, ნიგერია**

**19 იანვარი**
მალი — ლიბერია
**21 იანვარი**
ალჟირი — ნიგერია
**24 იანვარი**
მალი — ნიგერია
**25 იანვარი**
ალჟირი — ლიბერია
**28 იანვარი**
მალი — ალჟირი
ლიბერია — ნიგერია

### B ჯგუფი (სეგუ)
**ბურკინა ფასო, სამხრეთ აფრიკა, განა, მაროკო**

**20 იანვარი**
ბურკინა ფასო — სამხ. აფრიკა
**21 იანვარი**
განა — მაროკო
**24 იანვარი**
განა — სამხრეთ აფრიკა
**26 იანვარი**
ბურკინა ფასო — მაროკო
**30 იანვარი**
მაროკო — სამხ. აფრიკა
ბურკინა ფასო — განა

### C ჯგუფი (სიკასო)
**კამერუნი, კონგოს დრ, კოტ დივუარი, ტოგო**

**20 იანვარი**
კამერუნი — კონგოს დრ
**21 იანვარი**
კოტ დივუარი — ტოგო
**25 იანვარი**
კამერუნი — კოტ დივუარი
**26 იანვარი**
კონგოს დრ — ტოგო
**29 იანვარი**
კამერუნი — ტოგო
კონგოს დრ — კოტ დივუარი

### D ჯგუფი (ბამაკო)
**ეგვიპტე, სენეგალი, ტუნისი, ზამბია**

**20 იანვარი**
ეგვიპტე — სენეგალი
**21 იანვარი**
ტუნისი — ზამბია
**25 იანვარი**
ეგვიპტე — ტუნისი
**26 იანვარი**
სენეგალი — ზამბია
**31 იანვარი**
ეგვიპტე — ზამბია
სენეგალი — ტუნისი

### მეოთხედფინალი

3 თებერვალი
A1 — B2 (I); B1 — A2 (II)

4 თებერვალი
C1 — D2 (III); D1 — C2 (IV)

### ნახევარფინალი

7 თებერვალი
I წყვილის გამარჯვებული — IV წყვილის გამარჯვებული
II წყვილის გამარჯვებული — III წყვილის გამარჯვებული

### მატჩი მესამე ადგილისთვის
9 თებერვალი

### ფინალი
10 თებერვალი

## მონაწილეთა განაცხადები. A ჯგუფი

### მალი

**მეკარეები**
1 მამადუ სიდიბე — ათინაიკოსი, საბერძნეთი
16 კარამოკო კეიტა — პიროუ ბორო, ინგლისი
22 აბდულა დიაკიტე — ჯოლიბა

**მცველები**
2 დაუდა დიაკიტე — ოლიმპიკ ბამაკო
3 სამბა დიავარა — ისტრი, საფრანგეთი
4 ადამა კულიბალი — ლანსი, საფრანგეთი
5 ფუსეინი დიავარა — სენტ ეტიენი, საფრანგეთი
13 აბდულა კამარა — ლანსი, საფრანგეთი
15 ბუბაქარ დიარა — ფრაიბურგი, გერმანია
19 ადამა დიაკიტე — სტად მალენი

**ნახევარმცველები**
6 მამადუ დიარა — ვიტესი, ჰოლანდია
10 ისმაელ კულიბალი — ფრაიბურგი, გერმანია
11 ჯიბრილ სიდიბე — მონაკო, საფრანგეთი
12 სეიდუ კეიტა — ლორიანი, საფრანგეთი
14 ვენსან დუკანტე — სტრასბური, საფრანგეთი
20 აბუბაქარ ჰაიდარა — კანალი, ეგვიპტე
21 დავიდ კულიბალი — შატორუ, საფრანგეთი

**თავდამსხმელები**
7 ჩეიკ დაბო — გენჩლერბირლიგი, თურქეთი
8 ბასალა ტურე — ათინაიკოსი, საბერძნეთი
9 მამადუ ბაგაიოკო — სტრასბური, საფრანგეთი
17 დრამანე კულიბალი — ლავალი, საფრანგეთი
18 მამადუ დისა — ნიორი, საფრანგეთი

მწვრთნელი: ჰენრი კასპერჩაკი (პოლონეთი)

### ლიბერია

**მეკარეები**
1 ლუი კრეიტონი
16 აბრაამ ჯექსონი
22 პევუ ბესტმანი

**მცველები**
2 ფალაჰ ჯონსონი
4 ვარმაჰ კპოტო
5 დიონისიუს სებვე
9 ზიზი რობერტსი
17 ჟორჟ გებრო
20 ჯიმი დიქსონი
21 თომას კოჯო

**ნახევარმცველები**
3 ედვარდ დიქსონი
6 კელვინ სებვე
8 დულეე ჯონსონი
12 ოლივერ მაკორი
13 ალექს ბრაუნი
19 ჯონ მენიონგარი

**თავდამსხმელები**
7 ფრანკ სეტორი
10 ჯეიმს დება
11 მას საარი
14 ჟორჟ ვეა
15 პრინს დეიე
18 ჟოზეფუს იენაი

მწვრთნელი: ჟორჟ ვეა

### ალჟირი

**მეკარეები**
1 ლუნ გაუაუი — კაბილე
12 მოჰამედ სამადი — ბლიდა
22 მერუან აბდუნი — ალ ჰარახი

**მცველები**
2 იასინ სლატნი — მულუდია
3 მულა ჰადუ — მულუდია
5 მუმირ ზეგდუ
13 ბრაჰიმ ზაფური — კაბილე
17 სლიმან რაჰო — კაბილე
19 სმაილ დისი — ბლიდა
21 მოჰამედ ბრაჯა — ტრუა, საფრანგეთი

**ნახევარმცველები**
4 ნასრედინ კრუში — გენტი, ბელგია
6 იაზიდ მანსური — ლე ავრი, საფრანგეთი
7 ომარ ბელბი — მონპელიე, საფრანგეთი
8 ბილალ ჯირი — უსმა
16 ლუნ ბენდამანე — კაბილე
20 მაჰედინ მეფტაჰი — უსმა

**თავდამსხმელები**
9 ფარიდ გაზი — ბენიასი
10 აბდელჰაფიდ ტასფაუ — გენგამი, საფრანგეთი
11 ქამელ ხერხეჩე — ბლიდა
14 ნასინ ბუნეკჯა — ბელკური
15 ნასიმ არკური — ისტრი, საფრანგეთი
18 რაფიკ საიფი — ტრუა, საფრანგეთი

მწვრთნელი: რაბაჰ მაჯერი

### ნიგერია

**მეკარეები**
1 იკე შორუნმუ — უგუნდოდ
2 მერფი აკანჯი — სლიმა უონდერერზი, მალტა
3 ნდუბუისი ეგბო — ალ მასრი, ეგვიპტე

**მცველები**
4 ტარიბო ვესტი — კაიზერსლაუტერნი, გერმანია
5 ისააკ ოკორონკვო — შახტარი, უკრაინა
6 ემეკა იფეიაგვა — ვოლფსბურგი, გერმანია
7 ჟოზეფ იობო — მარსელი, საფრანგეთი
8 იფეანი უდეზე — პაოკ, საბერძნეთი
9 კრისტოფერ ჟუსტისი — ანტვერპენი, ბელგია
10 ერიკ ეჯიოფორი — მაკაბი, ჰაიფა, ისრაელი
11 სელესტინ ბაბაიარო — ჩელსი, ინგლისი

**ნახევარმცველები**
12 ჯორჯ ფინიდი — იფსვიჩ თაუნი, ინგლისი
13 სანდი ოლისე — დორტმუნდი, გერმანია
14 პასკალ ოჯიგვე — ლევერკუზენი, გერმანია
15 აუგუსტინ „ჯეი ჯეი" ოკოჩა — პსჟ, საფრანგეთი
16 გარბა ლავალი — როდა, ჰოლანდია
18 ტიჯანი ბაბანგიდა — ვიტესი, ჰოლანდია

**თავდამსხმელები**
17 ჯულიუს აგაოვა — შახტარი, უკრაინა
19 ვიქტორ აგალი — შალკე, გერმანია
20 ვიქტორ იკპება — ბეტისი, ესპანეთი
21 იაკუბუ აიეგბენი — მაკაბი, ჰაიფა, ისრაელი
22 ნვანკვო კანუ — არსენალი, ინგლისი

მწვრთნელი: ამადუ შაიბუ

# ვექებთ მწვრთნელს!

## ჭაღარები და მელოტები ნუ გამოგვეხმაურებიან




### კოლინ ტოდი

დაიბადა 1948 წლის 12 დეკემბერს ჩესტერში (ინგლისი)

მოთამაშის კარიერა

1971: თებერვალში გადადის „დერბი ქაუნთიში" და პირველსავე სეზონში ეხმარება „ცხვრებს" გაჩემპიონებაში

1972: „დერბი ქაუნთი" პირველად იგებს ქვეყნის თასს

1975: „დერბი" კვლავაც ქვეყნის ჩემპიონია

1978: გადადის ლივერპულის „ევერტონში"

1979: კონტრაქტს აფორმებს „ბირმინგემთან"

სამწვრთნელო კარიერა

1990: 9 მარტიდან 1991 წლის 24 ივნისამდე „მიდლსბროს" მენეჯერია

1995: 20 ივნისიდან 1996 წლის 2 იანვრამდე „ბოლტონ უონდერერზის" მწვრთნელის თანაშემწეა

1996: 2 იანვრიდან 1999 წლის 22 სექტემბრამდე თავკაცობს „ბოლტონს"

2001: 8 ოქტომბრამდე იყო „დერბი ქაუნთიში" მწვრთნელ ჯიმ სმიტის თანაშემწე, შემდეგ კი გუნდის მთავარი მწვრთნელი

2002: 14 იანვარს გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან

**„ცხვრებისა"** და „არწივის" იგავი ისე დამთავრდა, „დერბი ქაუნთიმ" ახლა თავი უნდა მოიქაჩლოს, პრემიერლიგიდან რომ არ გავარდეს. „მელოტი არწივის" ხელში „დერბის" უკეთესი დროება ელგა, ყოველ შემთხვევაში, ასე თვლიან გუნდის ქომაგნი, „მელოტი არწივი" კი ჯიმ სმიტის თიკუნია.

ქაჩალი სმიტი სამი თვის წინ გადააყენეს და გუნდის მენეჯერობა მის თანაშემწეს, კოლინ ტოდს გადააბარეს. მისმა დამოძღვრილმა „ცხვრებმა" 17 მატჩი ითამაშეს და 11-ჯერ დამარცხდნენ. შედეგად, გუნდი პრემიერლიგის ფსკერიდან მეორეა, ხოლო ასოციაციის თასიდან მესამე დივიზიონის „ბრისტოლ როვერსმა" დაიფრინა, (3:1) თანაც შინ, „პრაიდ პარკზე".

ჰოდა, კოლინ ტოდი გუშინწინ ჯიმ სმიტის კვალს გაუყენეს.

ახლა კი, თქვენ წარმოიდგინეთ, „დერბის" გაწვრთნით გუნდის იტალიელი ფორვარდი ფაბრიციო რავანელიც დაინტერესდა.

„დერბის" ფეხბურთელი ვარ და გულში სხვა რამ არ მაქვს, მაგრამ თუ იმის შესაძლებლობა გამოჩნდება, რომ გუნდის მენეჯერი გავხდე, ამაზე ნაღდად დავფიქრდები" — უთქვამს ჭაღარა იტალიელს.

მის სურვილს მყისვე გამოეხმაურა კლუბის აღმასრულებელი დირექტორი კეიტ ლორინგი: „ფაბრიციოს კოლინ ტოდზე აუგი არასდროს დასცდენია, ხოლო ჩემთვის სიტყვაც არ უთქვამს, რომ გუნდის გაწვრთნითაა დაინტერესებული. მასთან ამის შესახებ კლუბის არც ერთ წარმომადგენელს არ უსაუბრია. ყველაფერი ეს რავანელის წნეხის ქვეშ მოაქცევს".

ამის შემდეგ იტალიელმა ფირფიტა გადააბრუნა: „მომხდარით გაკვირვებული ვარ. კომენტარის გაკეთება ნამდვილად არ შემიძლია, რადგან არ ვიცი, ვინ იქნება ახალი გუნდის ახალი მენეჯერი. ძალიან ვწუხვარ კოლინ ტოდის გამო. ის კარგი ადამიანია. „დერბიში" ხელი კი მოეცარა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვაგან წარმატებები არ ექნება".

ერთი სიტყვით, რავანელის გამწვრთნელების ამბავი ჩანასახშივე ჩაიხშო. გიორგი ქინქლაძეს და დანარჩენ დერბელებს დროებით კლუბის სარეზერვო გუნდის მენეჯერი ბილი მაკოუნი უთავკაცებს.

**დავით თავართქილაძე**

# ფენერბაჰჩემ იაფ შინაურს ძვირი გარეული აამჯობინა




ვერნერ ლორანტი და ატილა კიიატი

**მას შემდეგ,** რაც „ფენერბაჰჩემ" მთავარი მწვრთნელი მუსტაფა დენიზლი უსაქმოდ დატოვა, „ფენერის" გულშემატკივრებში ერთი ვაი-უშველებელი ატყდა. კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე თურქული გუნდის ქომაგნი წერილს წერილზე გზავნიდნენ. ერთნი დაჟინებით ითხოვდნენ უცხოელი სპეციალისტის მიწვევას, მეორენი კი ამტკიცებდნენ, ჩვენებური მწვრთნელითაც იოლად გავალთო. ეს უკანასკნელნი ამბობენ, უცხოელი ბევრად ძვირი ჯდება და რაღა იმათ ვუხადოთ, ნიჭიერი მწვრთნელები ჩვენც გვყავსო. ამათი ოპონენტების აზრიც არ არის უინტერესო: მუსტაფა დენიზლი შინაური რომ არის, იმიტომაც აერია გუნდში საქმეები — მოთამაშეები ისე გაუშინაურდნენ, ყურს აღარავინ უგდებდაო.

მოკლედ, „ფენერბაჰჩეს" პრეზიდენტმა ატილა კიიატმა, თავად ვიცი, ვისაც მოვიყვანო და „მიუნხენ 1860"-ის მწვრთნელყოფილს, ვერნერ ლორანტს სტაცა ხელი.

ვერნერ ლორანტი შარშან, ოქტომბერში დაითხოვეს „მიუნხენიდან" და სულ ორიოდ თვე მოუწია უმუშევრად ხეტიალმა. ამიერიდან, ორწელიწადნახევრის განმავლობაში გერმანელი სპეციალისტი სტამბოლში დაიდებს ბინას და „ფენერბაჰჩეს" გაწვრთნის. აღსანიშნავია, რომ ლორანტი ცხრა წლის მანძილზე ედგა სათავეში „მიუნხენ 1860"-ს და უბრალო რეგიონალლიგის გუნდი ბუნდესლიგის მუდმივ ბინადრად აქცია. ის კი არა, მისი თავკაცობით მიუნხენელებმა ჩემპიონთა ლიგაც დააჭაშნიკეს. ასე რომ, ბეშიქთაშელი კრისტოფ დაუმი თავს მარტო აღარ იგრძნობს, სტამბოლში ერთი გერმანელი მწვრთნელით მეტი იქნება.

**გაგა ხუციშვილი**



ოტავიო ბიანკი (მარჯვნივ) მაფიოზის უფრო ჰგავს

# ოტავიოს დრო და ხელფასი

**ოტავიო ბიანკი** გაკოტრებული, დასუსტებული და საქმეარეული „ფიორენტინას" მწვრთნელად დაინიშნა. კლუბის ოფიციალურ განცხადებაში წერია, რომ სპეციალისტი, რომელიც აქამდე გუნდის ტექნიკურ დირექტორად მუშაობდა, ამიერიდან ძველ თანამდებობასთან ერთად მწვრთნელობასაც შეითავსებს.

ოტავიო ბიანკი 58 წლისაა. შეგახსენებთ, რომ მისი ხელმძღვანელობით „ნაპოლიმ" 1986-87 წლების სეზონში იტალიის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. ამას გარდა, იგი სხვადასხვა დროს „რომასა" და „ინტერსაც" ედგა სათავეში.

„ფიორენტინას" ტექნიკური დირექტორობა ბიანკიმ მიმდინარე სეზონის დასაწყისში ითავა, თუმცა სამსახურში საკმაოდ იშვიათად დადიოდა, რადგან, როგორც თავშივე ვთქვით, კლუბში ფრიად არეული მდგომარეობაა და რიგიანად ხელფასს ვერც უხდიდნენ.

„ჩვენი ამოცანაა უმოკლეს დროში წამოვდგეთ ფეხზე — განაცხადა ბიანკიმ — ხოლო ყველაზე დიდი მტერი დროის უქონლობა გახლავთ. სეზონის ბოლომდე ხომ ძალიან ცოტა რჩება და ამიტომაც ყოველმხრივი დახმარება გვჭირდება".

აღსანიშნავია, რომ ოტავიო ბიანკი სამწვრთნელო საქმიანობას 1996 წელს ანუ „ინტერში" მუშაობის შემდეგ ჩამოშორებული იყო.

დღეისთვის „ფიორენტინა" ბოლოსწინა ადგილზეა, საკმაოდ ბევრი დაშავებული ფეხბურთელი ჰყავს და ხელფასების გადასახდელად ჯანმრთელთა გაყიდვა უწევს.

**ბაკურა ძიძია**

# გენერალმა იორდანესკუმ დისლოკაციის ადგილი შეიცვალა



ანგელ იორდანესკუ

**რუმინეთის** ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებმა იმდენი მოახერხეს, რომ ანგელ იორდანესკუ საამიროების კლუბ „ალ აინიდან" შინ დააბრუნეს. ადრევე ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ნაკრების თავკაცად ძველი და ნაცადი იორდანესკუ დაენიშნათ.

რუმინეთის არმიის გენერალმა კონტრაქტის ვადაზე ადრე გაწყვეტისთვის ჯარიმა კი გადაიხადა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნება ამად ნამდვილად ღირდა. 51 წლის სპეციალისტმა უკვე გააფორმა ახალი კონტრაქტი რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციასთან, რომელიც 2004 წლის 31 ივლისამდე იქნება ძალაში. იგი წელიწადში 250 ათას დოლარს მიიღებს. თუ რუმინელთა ნაკრები ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გააღწევს, იორდანესკუს კონტრაქტს ავტომატურად გაუგრძელებენ, ხოლო პრემიის სახით 300 ათას დოლარს კიდევ ჩაუთვლიან.

გავიხსენოთ, რომ 1993-დან 1998 წლამდე გენერალი იორდანესკუ ნაკრებს უკვე თავკაცობდა. მისი მეთაურობით გუნდმა საუკეთესო შედეგებს მიაღწია, 1994 წელს აშშ-ში მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გავიდა.

**გაგა ხუციშვილი**

# ჰოლანდიელმა შოტლანდიურად იმღერა



დიკ ადვოკაატი

**დიკ ადვოკაატს** თურმე ჰოლანდიის ეროვნული გუნდის მწვრთნელობაზე მეტად „გლაზგო რეინჯერსის" სპორტული დირექტორობა აინტერესებს. რაც „ნარინჯისფერებმა" მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ჩააგდეს, ლუის ვან გაალის შემცვლელად ყველას ადვოკაატი ესახებოდა, ყველას, გარდა თავად ადვოკაატისა: „ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის წინადადება მეტად საპატიოა, მაგრამ ჩემი დღევანდელი მდგომარეობით სრულიად კმაყოფილი. ვარ. მე შემიძლია, კლუბის ხელმძღვანელობასა და მთავარ მწვრთნელს შორის ერთგვარი შუამავლის როლი ვიკისრო. მაგალითად, როდესაც „ეინდჰოვენს" ვწვრთნიდი, პრეზიდენტზე მეტად გენერალურ მენეჯერ ფრანკ არნესენთან მიწევდა ურთიერთობა. ახლა თავად ვარ ასეთ პოსტზე და მაინტერესებს, როგორ გამომივა ეს საქმე" — განაცხადა „რეინჯერსის" ყოფილმა მწვრთნელმა. სხვათა შორის, 54 წლის ადვოკაატს, რომელსაც 1994 წელს ჰოლანდია აშშ-ს მუნდიალზე გაუყვანია, გლაზგოელებთან კონტრაქტი ჯერაც არ გაუფორმებია. „ჰოლანდიაში ბევრი ნიჭიერი მწვრთნელია, რომელთაც შეუძლიათ, ეროვნულ გუნდში თავისი სიტყვა თქვან. ვფიქრობ, ჰოლანდიის ნაკრები კრიზისს ჩემს დაუხმარებლადაც დააღწევს თავს" — აცხადებს ადვოკაატი.

**სერგი ძორიძე**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველაფერში დამნაშავე პერესია

## წაგებულიც და მოგებულიც მსაჯს ედავება




რაულმა, წამაქციაო… დავიდ ალბელდამ, არაო

**ესპანეთის** ჩემპიონატის წინა ტურში მადრიდის „რეალმა“ „ვალენსიას“ 1:0 მოუგო და მნიშვნელოვნად გაიმყარა პოზიცია ცხრილის სათავეში. საერთოდ, ამ ორი გუნდის შეხვედრა ყოველთვის დაძაბული და ემოციურია და მსაჯებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ, ღირსეულად რომ გაართვან თავი დაკისრებულ მოვალეობას. აქ ნახსენები მატჩის არბიტრს, პერესს მივადექით, რომლის მიმართაც „ვალენსიას“ ხელმძღვანელებს სერიოზული პრეტენზიები გასჩენიათ.

პრეტენზია პირველი და ყველაზე მთავარი: რატომ არ ჩათვალა მსაჯმა შეხვედრის დასაწყისშივე ადრიან ილიეს თავური და რატომ მიუთითა თამაშგარეზე, როცა თვალნათლივ ჩანდა, რომ რუმინელი „რეალის“ მცველების უკნიდან გამოხტა. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად პერესს ვიდეო ჩანაწერი ჩაურთეს. მსაჯმაც ალალად აღიარა შეცდომა: „გოლი მართლაც იყო. შევცდი, თუმცა გვერდითმა მსაჯმა ალამი აწია და მე მას დავუჯერე“.

თანამსაჯი მართლაც შეცდა და ამან პერესის გადაწყვეტილებაზე იქონია გავლენა, მაგრამ იმ ფაქტს ხომ ვერ გავექცევით, მადრიდელი ფერნანდო იერო ვალენსიელთა თავდამსხმელ მისტას დასაშვებზე მეტად რომ ეუხეშებოდა და სანაცვლოდ მხოლოდ ერთხელ გააფრთხილეს. აქაც გვერდით მსაჯს უნდა ამოეღო წითელი ბარათი? აი, კიდევ რაზე დაიჩივლა „ვალენსიამ“.

ამ ორ და სხვა წვრილმან ფაქტებზე დაყრდნობით წაგებულთა პრეზიდენტმა ხაიმე ორტიმ გვარიანად გაკიცხა პერესი. მან „მარკას“ განუცხადა: „ჩვენ წაგებას არ ვიმსახურებდით. არბიტრმა გადაწყვიტა მატჩის ბედი. ეს ყოველწლიურად ხდება, რაც გაუმართლებელია.“

არბიტრს პრეტენზიათა ნუსხას „რეალიც“ უყენებს. სახელდობრ, მადრიდელებს აინტერესებთ, რატომ არ დანიშნა პერესმა მეცხრე წუთზე პენალტი, როცა მეტოქემ საჯარიმოში რაული წააქცია. ან კიდევ, რატომ არ დასაჯა მან ვალენსიელი რობერტო ფაბიან აიალა ზინედინ ზიდანზე თავდასხმისთვის, რასაც ლამის ხელჩართული ბრძოლა მოჰყვა.

„ილიეს გოლის არჩათვლა მართლაც შეცდომა იყო, მაგრამ არდანიშნულ პენალტზე რაღა ვთქვათ?“ — აცხადებს მიჩელ სალგადო. თავად რაულს კი საბოლოოდ ასეთი დასკვნა გამოაქვს: „ჩვენ ნამდვილად არ მოგვიგია მსაჯის წყალობით“.

**ნიკა შუბლაძე**



ზინედინ ზიდანს ყელში წაუჭირეს

# კაცი იყო, ცვილად იქცა

**„ყველაზე** რთული სამუშაო მისი სახის შექმნა იქნება. ის სერიოზული კაცია და საქმეც სერიოზულ მიდგომას მოითხოვს“ — განაცხადა მოქანდაკემ, რომელმაც მადრიდის ცვილის ფიგურათა მუზეუმში ზინედინ ზიდანის ქანდაკება უნდა დადგას.

„რეალის“ ფრანგი ნახევარმცველი ახლახან მუზეუმს ეწვია, სადაც ცვილადქცეულ უამრავ სახელოვან ადამიანს მოუყრია თავი. იქ ფეხბურთელს გულმოდგინედ გაუზომეს სახისა და სხეულის ნაკვთების სიდიდე, რათა ნამდვილ ზიდანთან ზედმიწევნით მიმსგავსებული ქანდაკება შექმნან.

მეტსაც გეტყვით, ზიდანის ქანდაკებასთან ერთად მუზეუმში მალე „რეალის“ კიდევ ერთი ვარსკვლავის, რაულის ცვილის ფიგურის დადგმაც იგეგმება, ოღონდ ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელის სკულპტურა ზიდანზე ცოტა ხნით გვიან შეუერთდება მუზეუმში თავმოყრილ სახელოვან ცვილადქცეულ ფეხბურთელებს — რიკარდო ზამორას, ტელმო სარას, პირუ გაინსას და პელეს. ზიდან-რაულის ცვილის დუეტს კი დიდი სპორტსმენების — მაიკლ ჯორდანის, ალექს კრივილს და ხესუს კარმელოს გვერდით დადგამენ.

**ნიკა შუბლაძე**

# მადრიდი გემოვნებიანი ქალაქია




პატრიკ ვიეირა ან ანდრეი შევჩენკო რეალელი გახდებაო

**გაზეთი** „მარკა“ მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტის, ფლორენტინო პერესის ახალ იერიშზე იუწყება. იერიშის სამიზნეები პატრიკ ვიეირა და ანდრეი შევჩენკო არიან, მიზანი კი, ალბათ, თავადაც მიხვდით — „არსენალისთვის“ და „მილანისთვის“ დიდძალი თანხის შეთავაზება და მათი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადაყვანაა.

„პერესის მთავარი ამოცანა „რეალის“ ვარსკვლავებით შევსებაა, თუმცა მხოლოდ ისეთებით, რომლებიც ამ გუნდს სრულად მოერგებიან. კლუბის სპორტული დირექტორი ხორხე ვალდანო ამჟამად ორივე მიმართულებით წარმართავს მუშაობას. მაგრამ მისი სიტყვებიდან ჯერჯერობით ის ირკვევა, რომ „რეალში“ სეზონის ბოლომდე ერთ-ერთის — შევჩენკოს ან ვიეირას ჩარიცხვას უნდა ველოდოთ“ — წერს „მარკა“.

გეხსომებათ, „სამეფო კლუბი“ „ლაციოდან“ ალესანდრო ნესტას გადაბირებასაც ცდილობდა, მაგრამ პრეზიდენტმა პერესმა ამას წინათ ისეთი რამ თქვა, ნაკლებად სავარაუდოა, იტალიის ნაკრების მცველი „რეალში“ ვიხილოთ. აი, პერესის სიტყვებიც: „ჩვენი ნესტა უკვე გვყავს და ეს ფრანსისკო პავონია. ის კარგად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას“.

პერესმა ესეც თქვა: „ხორხე ვალდანოს ჩინებული გემოვნება აქვს და ის „რეალისთვის“ შესაფერის ფეხბურთელებს არჩევს. სიაში ამჟამად ორნი — პატრიკ ვიეირა და ანდრეი შევჩენკო მოხვდნენ. ისე კი, სამომავლოდ მხოლოდ ისეთ მოთამაშეებს ვიყიდით, რომლებიც უპირველესად სრულიად ჯანმრთელები არიან და თან „რეალის“ სქემას მოერგებიან“.

**ნიკა შუბლაძე**

# ციგემ ლონდონი გლაზგოს დააშორა




კრისტიან ციგე

**არა და არ** დაადგა საშველი ინგლისური „ტოტენჰემის“ გერმანელი ლეგიონერის კრისტიან ციგეს მწყობრში ჩადგომას. შეგახსენებთ, რომ იგი ექვსი კვირის განმავლობაში მკურნალობდა დაშავებულ მუხლს. ახლახან როგორც იქნა გამოჯანმრთელდა, მაგრამ იღბალმა უმტყუნა და კვლავ დაშავდა.

ოთხ მილიონ ევროდ შეფასებულ 29 წლის გერმანელის ხელმეორე ტრავმით შეშფოთებულმა მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა შემდეგი განაცხადა: „ეს ჩვენთვის თავზარდამცემი ამბავია. მით უმეტეს, რომ შტეფან ფროინდი ჯერ კიდევ არ გამოჯანმრთელებულა“.

ციგეს ტრავმას კომენტარი მისმა აგენტმა ლოთარ ჰაინცემაც გაუკეთა: „კრისტიანს მეტად უიღბლო პერიოდი აქვს. ვიმედოვნებ, სერიოზული არაფერი იქნება“.

ფეხბურთელი ამჟამად სამშობლოში იმყოფება და დაშავებულ მუხლზე გამოკვლევას იქვე ჩაიტარებს.

„ტოტენჰემის“ შეფიქრიანებულმა თავკაცმა კი ციგესთან ერთად ფროინდის ტრავმაზეც ხომ დაიჩივლა, თუმც ლონდონური კლუბის პრობლემები ამით როდი ამოიწურა — ლაზარეთს ჯერ კიდევ „მედგრად“ ამაგრებენ სტეფან კარი, გარი დოჰერტი და გორან ბუნიევჩევიჩი.

კრისტიან ციგეს ტრავმამ გეგმები „ტოტენჰემის“ გარდა გლაზგოს „რეინჯერსსაც“ გვარიანად აურია. საქმე ისაა, რომ შოტლანდიური გრანდი ციგეს თანაგუნდელ, 32 წლის ტიმ შერვუდით არის დაინტერესებული, თუმც ამ ტრანსფერს განხორციელება ჯერ არ უწერია. გლენ ჰოდლმა კატეგორიულად განაცხადა, უახლოეს მომავალში შერვუდს არ გავყიდით, ფეხბურთელები გვაკლია და პირიქით, ეგებ იჯარითაც დავიმატოთ ვინმეო.

**კახა ზალამბერიძე**

# ევროპამ ევრო კაპელოსთვის შემოიღო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სკიპერი | 19 | 16 | 3 | 1636:1451 | 35 |
| კინდერი | 19 | 15 | 4 | 1628:1404 | 34 |
| ბენეტონი | 19 | 15 | 4 | 1754:1536 | 34 |
| სიენა | 19 | 14 | 5 | 1589:1446 | 33 |
| კანტუ | 19 | 13 | 6 | 1531:1497 | 32 |
| სკავოლინი | 19 | 12 | 7 | 1567:1530 | 31 |
| ტრიესტი | 19 | 12 | 7 | 1531:1539 | 31 |
| მიულერი | 19 | 10 | 9 | 1539:1550 | 29 |
| ვარეზე | 19 | 8 | 11 | 1646:1640 | 27 |
| რომა | 19 | 8 | 11 | 1489:1493 | 27 |
| ფაბრიანო | 19 | 8 | 11 | 1505:1608 | 27 |
| სნაიდერო | 19 | 7 | 12 | 1589:1618 | 26 |
| აველინო | 19 | 7 | 12 | 1542:1595 | 26 |
| ბიელა | 19 | 7 | 12 | 1552:1624 | 26 |
| ადეკო | 19 | 7 | 12 | 1519:1592 | 26 |
| როზეტო | 19 | 7 | 12 | 1606:1692 | 26 |
| ვიოლა | 19 | 5 | 14 | 1481:1676 | 24 |
| ლივორნო | 18 | 5 | 13 | 1421:1531 | 23 |
| იმოლა | 19 | 4 | 15 | 1489:1590 | 23 |

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# სამშიც კი არა: ოთხში ერთი

## მაიამის პროპორცია და სტეფანიას მცირე ულუფა



ლეიკერსი — მემფისი. კობი ბრაიანტმა „დათვებს“ 56 ქულა უთავაზა

14 იანვარი

**გოლდენ სტეიტი 79:85 მაიამი**

**გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (19), რიჩარდსონი (4), ჯემისონი (15 ქულა, 15 მოხსნა), ფორტსონი (8 ქულა, 13 მოხსნა), ფოილი (8); მაილზი (10), სურა (8), მერფი (3), დამპიე (2), ოლივერი (2)**

**მაიამი: სტრიკლენდი (8), ჯონსი (28), ჯეკსონი (12), გრანტი, მურნინგი (15); გილი (7), გეტლინგი (6), ელისი (5), ჰაუსი (2), სტეფანია (8 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა)**

ამ ორიოდ კვირის წინ „მაიამიმ“ შინ დაამარცხა „გოლდენ სტეიტი“, 14 იანვარს კი ვოვა სტეფანია და მისი თანაგუნდელნი იქით მიუხდნენ ფრისკოელ „მეომრებს“ და იქაც მოუგეს ბრძოლა. ამ გამარჯვებით „ხვატმა“ სამმატჩიანი მარცხიანი სვლა შეწყვიტა და „მეომრებიც“ ზედიზედ მეშვიდე წაგებით და თან ვეება ფსიქოლოგიური წნეხით დაზურგა.

როგორც ჩანს, დეკემბერში „ლეიკერსის“ დამარცხებამ „მეომრებს“ დათვური სამსახური გაუწია. მათ ახლა ტოტალური დალმასრბოლის პერიოდი უდგათ და ახალი „გენერლის“ ბრაიან უინტერსის გულისსახეთქად იქნებ კიდევ შვიდი მეტოქე გაახარონ, სანამ გამარჯვება ერგებათ.

რატომ დავმალოთ და, „გოლდენ სტეიტზე“ სწრაფად არც „მაიამის“ მატარებელი მიჰქრის. თავის დივიზიონში „ჰითი“ ფსკერის მხეხავადაა დანიშნული და არც ალზევების პერსპექტივა უჩანს. მართალია, სტეფანიას და მის მხარდამჭერ მოთამაშეთა (ან სათადარიგოთა სკამზე გვერდით მსხდომთა) ჭკუის მასწავლებელი და ძალის მიმმართველი პატ რაილი იმედიანადაა და ყოველი გამარჯვების („მაიამი“ დაახლოებით ოთხში ერთ თამაშს იგებს) შემდეგ ამბობს, მნიშვნელოვანი მოგება იყო, ახლა კი ჩვენი დროც დადგებაო, მაგრამ ბეჩავ „მაიამის“ ჯერაც ვერ ეშველა.

რაც შეეხება კონკრეტულად 14 იანვრის მინიტრიუმფს, მატჩის შემდგომ რაილი პესიმისტური იერსახით წარუდგა მედიას და თქვა — ცუდი თამაში იყო, პირველ ტაიმში უამრავი ჩასაგდები ბურთი ავაცილეთ, რის გამოც ბოლოსკენ ბევრი ოფლის მოღვრა დაგვჭირდაო.

„მაიამის“ მოაგებინა ლამის ერთადერთმა ღირსებაშენარჩუნებულმა წევრმა ედი ჯონსმა, რომელმაც ბოლო მეოთხედში, ექვსქულიანი ჩამორჩენისას თავისიანები ააფეთქა, ერთი მონაკვეთი 19:4 მოაგებინა და „ჰითის“ მეცხრე გამარჯვებაც გამოაცხო.

**ლეიკერსი 120:81 მემფისი**

**ლეიკერსი: ბრაიანტი (56)**

**მემფისი: გასოლი (25 ქულა, 12 მოხსნა), სვიფტი (22)**

**ნიუ ჯერსი 99:97 სან ანტონიო**

**ნიუ ჯერსი: კიტლზი (22), მაკკალოფი (18 ქულა, 10 მოხსნა), მარტინი (17), კიდი (16 ქულა, 12 პასი, 10 მოხსნა)**

**სან ანტონიო: დანკანი (27 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი)**

**ორლანდო 113:87 დალასი**

**ორლანდო: მაკგრეიდი (26), ჰადსონი (21), გრანტი (16)**

**დალასი: ჰოვარდი (26)**

**იუტა 106:97 დენვერი**

**იუტა: მელოუნი (26), რასელი (17), სტოქტონი (14)**

**დენვერი: ვან ექსელი (26), ანდერსონი (17), ფოუზი (16)**

ამ შაბათს ჩიკაგოში დატრიალებულმა ამბებმა ლოსანჯელესელებს გვარიანად წაუხდინა ნირი.

ზედიზედ მესამე ჩემპიონობაზე დაგეშილი „ლეიკერსი“ დღევანდელი საცხრილო მონაცემებით დანარჩენ 28 გუნდს სჯობს, მაგრამ ბოლო ერთ თვეში ოთხი დივიზიონიდან სამის აუტსაიდერთან (მათ შორის „მაიამი“ არაა) წაფორხილებამ ძალუმად შეარყია ფილ ჯექსონის ციხესიმაგრე.

გუნდის ფსიქოლოგიაში გაჩენილი ბზარების ამოლესვა კობი ბრაიანტმა ითავა და კალატოზმკურნალობას შესანიშნავად გაართვა თავი. დისკვალიფიცირებული შაკილ ონილის გარეშე დარჩენილმა ლოსანჯელესელებმა წინ კობი წაიმძღვანეს და მეტოქეს სასტიკად გაუსწორდნენ.

მეტოქედ კი „ლეიკერსს“ მემფისელი „დათვები“ ჰყავდა. სწორედ ისინი, რომლებმაც შარშან დეკემბრის ერთ მშვენიერ საღამოს ეგ თქვენი ქებული ჩემპიონი „თავხედურად“ წამოაქციეს.

„ლეიკერსის“ დარ გუნდებს მემფისისნაირებთან მარცხი დიდხანს არ ავიწყდებათ და აი, შურისძიების ზარმაც ჩამოჰკრა. დაიწყო მატჩი და მასპინძლებმა „დათვებზე“ ნადირობა გააჩაღეს. შაკილის არყოფნაში მთავარი მონადირე ბრაიანტი გახლდათ. კობიმ შორიდანაც ბევრი ესროლა „დათვებს“, ახლოდანაც არ დაინდო და საბოლოოდ 56 ქულა ჩააშენა „მემფისის“ კალათში, ბოლოს კი თქვა — ეს ჩემგან დიდი საკვირველი არ არის, ჩვეულებრივი საქმე ვაკეთეო[?]. აღსანიშნავია, რომ ბრაიანტს ორივე წუღაზე ონილის ნომერი — 34 წააწერა.

56 ქულა სარეკორდოა ბრაიანტის კარიერაში, აგრეთვე მიმდინარე სეზონის საყოველთაო რეკორდიცაა, სამი ქულით სჯობს სანანტონიოელი ტიმ დანკანის ამასწინანდელ მიღწევას. ც ვთქვათ, ბრაიანტმა 56 ქულა მხოლოდ სამ მეოთხედში გააკეთა. ბოლო თორმეტწუთეულის წინ მისი გუნდი 98:59 იგებდა და ფილ ჯექსონმაც დაასვენა „დათვების“ ჭაბუკი მარბიელი და თავად „დათვებიც“. კობისაც არ უთხოვია ფილისთვის, მათამაშეო, თორემ ასეთი რიხით რომ გაეგრძელებინა, ვინ იცის, იქნებ „ლეიკერსის“ ყველა დროის რეკორდს — 71 ქულასაც შესწვდომოდა, რომელიც ელჯინ ბეილორს დაუმყარებია ოთხი ათეული წლის წინ.

ვოვა სტეფანიას ყოფილი გუნდი „ნიუ ჯერსი“ კი განაგრძობს გიჟურ სრბოლას და ბოლო რვა წელიწადში პლეი ოფისკენ პირველად მავალმა კიდევ ერთი ბობოლა მეტოქეს აწვნია ნოკდაუნი. „სან ანტონიო“, ნებისმიერთან შეტოქებული, გამარჯვებას სთხოვს საკუთარ თავს და „ნიუ ჯერსისთანაც“ მოგება მოიწადინა. არ გაუმართლა. ფიცხელი ბრძოლის შემდეგ მარცხილა შერჩა ხელში.

მატჩის დამთავრებამდე ათი წამით ადრე, 97:97-ზე, ნიუჯერსელმა ტოდ მაკკალოფმა სტივ სმიტს დაუფარა. ის ბურთი მასპინძელ ჯეისონ კიდს მიუვიდა და მისთვის მეათე მოხსნა გამოდგა (მოხსნად ითვლება არა მარტო ფარიდან, არ... მეტოქის ხელიდან ასხლეტილი ბურთის დაჭერაც), რითაც კიდმა შეასრულა სეზონის მესამე და კარიერის 41-ე სამმაგი დუბლი. გადამწყვეტი ბურთი კი მისმა თანაგუნდელმა კერი კიტლზმა ჩააგდო საფინალო სირენამდე ექვსი წამით ადრე.

„დალასის“ ორი უცხოელი ლიდერი — გერმანელი დირკ ნოვიცკი და კანადელი სტივ ნეში ჯამში 44 ქულას იხვეჭენ, „ორლანდოსთან“ კი ოდენ 4-4 თუ შეაწიეს „მავერიკსს“ და „დალასიც“ წასაგებად გაიწირა.

„დენვერს“ აქამდე ზედიზედ ათჯერ წაეგო საოლიმპიადოდ გამზადებულ სოლტ ლეიკ სიტიში იქაურ „იუტა ჯაზთან“ და ვერც ამჯერად დაძრა ყინული. „იუტამ“ ბოლო ათ თამაშში მერვედ იყოჩაღა და დასავლეთ კონფერენციაში მეექვსე ადგილზე დაფუძნდა.

**ირაკლი ფირცხვილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ატლანტიკის დივიზიონი | | | | ცენტრალური დივიზიონი | | | |
| | მ | წ | % | | | | |
| ნიუ ჯერსი | 24 | 11 | 68,6 | მილუოკი | 21 | 13 | 61,8 |
| ბოსტონი | 22 | 14 | 61,1 | ინდიანა | 21 | 17 | 55,3 |
| ვაშინგტონი | 18 | 16 | 52,9 | ტორონტო | 20 | 17 | 54,1 |
| ორლანდო | 20 | 20 | 50,0 | დეტროიტი | 17 | 18 | 48,6 |
| ფილადელფია | 16 | 20 | 44,4 | შარლოტი | 17 | 19 | 47,2 |
| ნიუ იორკი | 14 | 22 | 38,9 | ატლანტა | 13 | 23 | 36,1 |
| მაიამი | 9 | 26 | 25,7 | კლივლენდი | 13 | 24 | 35,1 |
| | | | | ჩიკაგო | 7 | 29 | 19,4 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | | წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | |
| მინესოტა | 27 | 9 | 75,0 | ლეიკერსი | 27 | 8 | 77,1 |
| სან ანტონიო | 25 | 9 | 73,5 | საკრამენტო | 27 | 9 | 75,0 |
| დალასი | 25 | 12 | 67,6 | სიეტლი | 19 | 17 | 52,8 |
| იუტა | 20 | 17 | 54,1 | კლიპერსი | 19 | 19 | 50,0 |
| ჰიუსტონი | 12 | 24 | 33,2 | ფინიქსი | 19 | 19 | 50,0 |
| მემფისი | 12 | 25 | 32,4 | პორტლენდი | 18 | 19 | 48,6 |
| დენვერი | 11 | 25 | 30,6 | გოლდენ სტეიტი | 12 | 24 | 33,3 |

# ჩიკაგოში შავი დევის ზღაპარი ნახეს

## რომელი ნაცარქექია შენა ხარ, ბრედ, შაკილ ონილს რომ წამოარტყი?!

**160-კილოგრამიანი** და 216-სანტიმეტრიანი გიგანტის ტორები მტერს მოხვდეს. მაისურაზე ნბა-ს ლოგოთი მობურთალთა საბედნიეროდ, სწორედ ამ სიგრძე-სიგანის მქონე შაკილ ონილი იშვიათად იქნევს მორა მკლავებს, თუმც ამის სურვილი ხშირად უჩნდება.

ამ შაბათს კი შაკმა მკლავი გაშალა და „ჩიკაგო ბულზის“ ცენტრ ბრედ მილერს დაუმიზნა. რომ გაერტყა, ასე, ათი თამაშიდან მთელ სეზონამდე დისკვალიფიკაციას გამოჰკრავდა ხელს (მილერის მოტეხილობა-დაჟეჟილობის გათვალისწინებით), ახლა კი შედარებით იოლად გადარჩა. ნბა-მ იგი შუა თამაშში ქუჩური ჩხუბის წამოწყებისთვის სამთამაშიანი დისკვალიფიკაციითა და 15-ათასდოლარიანი ჯარიმით დასაჯა.

ყველაფერი კი ასე მოხდა. 12 იანვარს ლიგის უცუდესი გუნდი „ჩიკაგო“ უძლიერეს „ლეიკერსს“ მასპინძლობდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამარცხებდა. მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე სამ წუთზე ნაკლები რჩებოდა, როდესაც ჩიკაგოელი ახმახები — ბრედ მილერი და ჩარლზ ოკლი ერთდროულად დაჯარიმდნენ ონილზე. დაჯარიმდნენ კი არა, ორივემ მწარედ ჩასცხო შაკს, მილერმა ხელი ლამის ცხვირ-პირში მოარტყა. შაკი გაცოფდა, შეურაცხმყოფელს გამოენთო და საშინელი ძალით დაუშინა ტორები. იღბალი მქონიაო, მილერმა უნდა თქვას, გადარჩა და როგორღაც მოარიდა თავი ურობსავით მუშტებს.

მილერი რომ წაართვეს ხელიდან, შაკილი ახლა ჩარლზ ოკლის მიუბრუნდა, მაგრამ ამ ავტორიტეტულ ვეტერანთან ჩხუბს მოერიდა (თან ცოტათი დაწყნარებულიყო კიდეც) და მასთან საქმის გარჩევით შემოიფარგლა. ონილი, ცხადია, თამაშიდან გააგდეს. მეორე კატეგორიის განზრახ ჯარიმის გათვალისწინებით მას მიაყოლეს ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული მილერი და დიდი ხმაურის ამტეხი ჩარლზ ოკლი. თამაში იქვე დაამთავრა ლეიკერსელმა რიკ ფოქსმაც, რომელმაც მიჰქარა და მსაჯთა დარწმუნებას მიჰყო ხელი, აქაოდა, ონილი არ იმსახურებდა გაგდებას და სულ ტყუილად გაისარჯეთო.

საქმე მიეცა ნბა-ს სადისციპლინო კომიტეტს, ხოლო სალაპარაკო — ჟურნალისტებს და ამ ამბის დამნახავ-გამგონთ. „შაკი ძალიან გაბრაზდა. ასეთია ადამიანის ბუნება. ყველა ავტომატურად იცავს თავს. ასე რომ, შაკის რეაქცია ბუნებრივია. მაგრამ მე არ მესმის ნბა-ს ხელმძღვანელობის. მაქსიმუმ ერთთამაშიან დისკვალიფიკაციას მოველოდი. შაკის ხელი ფაქტობრივად არც მოხვედრია მილერს, ახლოს ვიყავი და ყველაფერი ნათლად დავინახე. სამთამაშიანი დისკვალიფიკაცია მეტისმეტია“ — ონილს გამოექომაგა მოძღვარი ფილ ჯექსონი.

„ლეიკერსის“ გენერალურ მენეჯერ მიჩ კუპჩაკს ვერ გადაუწყვეტია, დაგმოს თუ არა ონილის საქციელი. როგორც გუნდის ხელმძღვანელთაგანი, იგი ამბობს: „როგორც ორგანიზაცია, ჩვენ ვერ გავამართლებთ ონილს. შეიძლებოდა, მის თავშეუკავებლობას სერიოზული შედეგი მოჰყოლოდა და ამაში დამნაშავე მხოლოდ ის იქნებოდა“. და კუპჩაკი იქვე თანაუგრძნობს ონილს, მეორე მხრივ მესმის მისი, საწყალს ამდენი ხვდება და რა გასაკვირია, თუ ერთხელ ასე აფეთქდაო.

თავად ონილს არაფერი უთქვამს, კვირას „ლეიკერსის“ საწვრთნელ ბაზა „ელ სეგუნდოდან“ გამოსულმა სიტყვაც არ აღირსა აბეზარ ჟურნალისტებს.

ვერც ჩიკაგოელები გამოვიდნენ წყლიდან მშრალად. ნბა-ს დისციპლინარებმა ოკლი ათი ათასით დააჯარიმეს და ორი თამაშის გამოტოვება მიუსაჯეს, მილერს კი 7,5 ათასით შეუთხელეს ჯიბე და ერთ თამაშში მონაწილეობა აუკრძალეს.

„ჩიკაგოს“ გენერალური მენეჯერი, გოდორა ჯერი კრაუზე გასაჩივრებას აპირებს, ამბობს, ჯარიმებს რომ დავეთანხმოთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი კალათბურთელები ბინძურად თამაშობენ. ეს კი მართალი არ იქნებაო.

შაკილის დაჯარიმება-გაგდებაზე რა მოგახსენოთ და, ონილისთვის იმ ავბედითმა საღამომ ენით აუწერელი სიხარული მიანიჭა ათეულ ათასობით ადამიანს, „ჩიკაგოს“ ქომაგებს. ჩიკაგოელი ფანები ონილს არას ერჩიან, ის კი გაუხარდათ, რომ იმ თამაშში „ბულზმა“ 106:104 წამოაქცია ზემძლავრი მეტოქე. „ჩიკაგოსთვის“ ეს ყველაზე ღირსსახსოვარი გამარჯვება იყო მას შემდეგ, რაც ამ გუნდში მაიკლ ჯორდანი აღარ თამაშობს.

**იმანე კობიაშვილი**



შაკილ ონილს ბრედ მილერი ხელიდან ძლივს წაართვეს

# ავსტრალიის ღია პირველობა 2002

ავსტრალიის ღია პირველობა „დიდი სლემის“ ყველაზე ახალგაზრდა ტურნირია, 1905 წლიდან იმართება, მაგრამ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში ოზთა დიდი მეცადინეობით ძლიერ პოპულარული გახდა. 24 კორტზე /რომელთაგან ცენტრალური 15 ათას კაცს იტევს, უნიკალური ჰარდის საფარია დაგებული, რომელიც ზემოდან თხელი რეზინითაა მოპირკეთებული და ამინდის მიხედვით ხან აწამებს და ხან აამებს ჩოგბურთელებს. ნახსენები პერიოდიდანვე ავსტრალიის ღია პირველობაზე თამაშს საჩოგბურთო ელიტაც ნელ-ნელა შეეჩვია და წელს, თუ რამემ ხელი არ შეუშალა, ნამდვილი სპორტული შოუ გაიმართება.

## კაცების ბადე



შარშანდელი ჩემპიონები: ანდრე აგასი და ...

- 1/32, 1/16, 1/8, 1/4, 1/2
- ჰიუიტი (1) 1:3 მარტინი
- მელიგენი — კრატოჩვილი
- რიოსი — კრაბი
- კუჩერა — შალკენი (27)
- ლაპენტი (23) — პრეტჩი
- აკასუსო — ვაცეკი
- გაუდიო — შერჩეული
- სარეტა — კლემანი (15)
- ფედერერი (11) — ჩანგი
- შერჩეული — სავოლტი
- მატიე — შუტლერი
- კალერი — მოია (17)
- მალისი (29)— შერჩეული
- სა — ტ. მარტინი
- შერჩეული — შერჩეული
- სტოლიაროვი — ჰაასი (7)
- ლაბაძე — შერჩეული
- მანტია — კოსტა
- ფუკარეკი — სიმონი
- სკილარი — პაველი (25)
- გემბილი (19) — ფერერა
- ნალბანდიანი — ვაცეკი
- ლუბიჩიჩი — ულირახი
- ზაბალეტა — როდიკი (13)
- საფინი (9) — დიუპუი
- შერჩეული — როკუსი
- იუენი — ლოდრა
- შერჩეული — სანტორო (20)
- ესკუდე (30) — რიდი
- შერჩეული — კალატრავა
- ჩელა — შერჩეული
- ნიემინენი — სამპრასი (8)
- გროჟანი (5) 3:1 ბალცელსი
- ლი 0:3 კლავეტი
- გაუდენცი 3:1 ფრომბერგი
- კოფერი 0:3 ნოვაკი (26)
- პორტასი (18) — ილი
- ბურგსმიულერი 2:3 ჰრბატი
- გოლმარი 3:0 არტურსი
- დამი 1:3 ივანიშევიჩი (10)
- კორეჩა (14) 3:1 ბლეიკი
- სოლნიე 2:3 კუზეკი
- მირნი 1:3 პლესი
- ჰოიბერგერი 1:3 არაზი (22)
- რობრედო (32) 3:1 რასელი
- სარგსიანი 0:3 გონსალესი
- კიმი 1:3 სანგვინეტი
- კოლმანი 0:3 კაფელნიკოვი (4)
- ჰენმანი (6) 3:0 ლარკემი
- ვოლჩკოვი 3:1 მემიტი
- ფილიპუსისი 3:0 ბლანკო
- დრაპერი 0:3 რუზედსკი (28)
- ენკვისტი (24) 3:1 თომანი
- მასუ 0:1 (ტრავმა) ბიორკმანი
- დელგადო 3:2 მონტანესი
- შრიჩაპანი 0:3 კანასი (12)
- იოჰანსონი (16) 3:1 დიასი
- დავიდენკო 1:3 ჰიპფლი
- კარლსენი 2:3 ვისენტე
- ვანეკი 0:3 ელ აინაუი (21)
- ვინსიგერა (31) 3:0 ლუცი
- დენტი 3:0 ტაბარა
- ვოინეა 3:1 სანჩესი
- ბუტე 3:2 კუერტენი (2)

# სადღაა გმირი?!

## უკაცოდ დარჩენილმა კლაისტერსმა კაცურად იბრძოლა

პირველივე წრეში გავარდნილ გუსტავო კუერტენი გუშინ მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ამერიკის ღია პირველობის ჩემპიონი და ბოლოს და ბოლოს მასპინძელი ლეიტონ ჰიუიტი მიჰყვა. ისედაც ძლიერი ჰიუიტის სათამაშო დონემ გასული სეზონის მეორე ნახევარში მკვეთრად იმატა და ტურნირის მთავარ ფავორიტად თვლიდნენ, მაგრამ ასეც ხდება — რჩეული ავსტრალიელი განუთესავმა ალბერტო მარტინმა დაამარცხა.

პირველ სეტში ჰიუიტი მართავდა სიტუაციას. მან გამოიყენა ყველა კოზირი და მარტინს თავბრუ დაახვია. ვერ ვიტყვით, რომ მეორე სეტიდან ესპანელმა ძალიან მკვეთრად მოუმატა, უბრალოდ, ჰიუიტმა დაკარგა სახე და პარტია ისევე სამარცხვინოდ დათმო, როგორც მარტინმა პირველი სეტი. შემდეგ ჰიუიტი იბრძოდა (მელბურნში ვაჟები სამ მოგებამდე თამაშობენ), მე-4 სეტში ტაიბრეიკს უწია და 4:5-ს აგებდა, როცა მარტინმა ტაიმაუტი ითხოვა: მას ფეხებში ძალა გამოლევოდა. „რომ გამეგრძელებინა, საფარზე გავიშოტებოდი“ — ეს სიტყვები მარტინმა უკვე მაშინ თქვა, როცა გამარჯვებულის რანგში საპრესკონფერენციო დარბაზის მაგიდასთან გახლდათ წამოჭიმული.




წარმოგიდგენთ: ალბერტო მარტინი, 23 წლის, კატალონიელი. ესპანეთის მოქალაქე ჩოგბურთელების დარად მარტინიც თიხაზე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში, თუმცა აქამდე დიდი ხვითო არც იმ ნელ საფარზე გახლდათ, ხოლო ავსტრალიის ღია პირველობაზე მარტინის აქამომდელი შედეგები კრიტიკას საერთოდ ვერ უძლებს — „მელბურნ პარკის“ კორტებზე 4 წელიწადში მან 1(!) მატჩი მოიგო.

„კარგი მოთამაშეები ადრეც დამიმარცხებია — შენიშნა მარტინმა იმავე პრესკონფერენციაზე — მაგრამ პირველის დამარცხება ის არის, რაც მთელი ცხოვრება გამყვება. ახლა მე ვიცი, რომ ყველას ძლევა შემიძლია, ყოველ წრეში ისეთი უნდა ვიყო, როგორიც დღეს“.

„მე სუპერმენი არ ვარ“ — მოკლედ გადმოაგდო ბოლო ხანებში მასმედიაზე ისედაც აღრენილმა ჰიუიტმა. ურთიერთობანი ჩოგბურთელსა და მეოთხე ხელისუფლებას განსაკუთრებით წლეულს გაუფუჭდათ. ავსტრალიის ღია პირველობის პრეზენტაციაზე და საჩვენებელი მატჩებისას ჰიუიტმა სათოფეზე არ გაიკარა კამერიანი და მიკროფონიანი ადამიანი, რაც ფაქტობრივად ქომაგებთან კონტაქტის გაწყვეტას ნიშნავს, ხოლო ქომაგები მასში გმირს ხედავენ. ჰიუიტმა გაათრია ავსტრალია შარშანდელი დევისის თასის ნახევარფინალში, როცა ბრაზილიაში, თიხაზე 2 თამაში მოუგო თვით გუსტავო კუერტენს. ეს ამბავი ათასობით ბრაზილიელის მტრული ხმაურის ფონზე მოხდა. მის სხვა ტიტულებზე არაფერს ვამბობთ.

ბოიფრენდის დამარცხებამ გაამწარა კიმ კლაისტერსი და ბელგიელმაც მთელი ჯანი და ბოღმა დაატეხა მასპინძელ კრისტინა უილერს. კლაისტერსი 52 წუთის მანძილზე მძვინვარებდა და 6:2, 6:1 მოიგო. საეჭვოა, ჰიუიტი ამ ამბავს დიდად ენუგეშებინა.

**დავით გულუა**

### პირველი წრე

#### ვაჟები

გასტონ გაუდიო (არგენტინა) — ჯეკ ბრესინგტონი (აშშ) 6:4, 7:6 (7:3), 7:5; კრისტოფ როკუსი (ბელგია) — რაიმონ სლუიტერი (ჰოლანდია) 4:6, 6:3, 6:4, 6:2; ალექს კალატრავა (ესპანეთი) — ოლივიე როკუსი (ბელგია) 6:3, 3:6, 6:3, 3:6, 6:3; ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) — ბოჰდან ულირახი (ჩეხეთი) 6:7(4:7), 1:6, 6:4, 7:6 (9:7); ალბერტო მარტინი (ესპანეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) 1:6, 6:1, 6:4, 7:6(7:4); ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) — ნოამ ოკუნი (ისრაელი) 6:2, 6:7(5:7), 6:3, 6:1; ტოდ მარტინი (აშშ) — ანდრე სა (ბრაზილია) 6:4, 6:3, 7:5; მარატ საფინი (9, რუსეთი) — ანტონი დიუპუი (საფრანგეთი) 7:5, 6:4, 6:2; ბაირონ ბლეიკი (ზიმბაბვე) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 4:6, 4:6, 6:3, 6:3, 7:5; ხოსე აკასუსო (არგენტინა) — იან ვაცეკი (ჩეხეთი) 3:6, 1:6, 6:4, 7:6 (7:5), 6:1; ნიკოლას ლაპენტი (3, ეკვადორი) — აქსელ პრეტჩი (გერმანია) 7:5, 4:6, 6:0, 6:0; კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) — სხენგ შალკენი (27, ჰოლანდია) 6:1, 6:4, 1:6, 6:1; მიხაილ იუჟნი (რუსეთი) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:7 (2:7), 6:2, 6:2, 6:3; ალექსანდრე სიმონი (ბრაზილია) — ოტა ფუკარეკი (ჩეხეთი) 4:6, 7:5, 6:2, 6:7(3:7), 7:5; მარდი ფიში (აშშ) — ფაბრის სანტორო (20, საფრანგეთი) 6:2, 1:6, 6:4, 6:1; მარსელო რიოსი (ჩილე) — ჯეიმონ კრაბი (ავსტრალია) 6:2, 6:0, 5:7, 6:4; ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 2:6, 6:2, 6:3, 6:4; პიტ სამპრასი (8, აშშ) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 6:3, 6:3, 6:4; როჯერ ფედერერი (11, შვეიცარია) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 6:4, 6:4, 6:3; რაინერ შუტლერი (გერმანია) — პოლ ანრი მატიე (საფრანგეთი) 6:2, 1:6, 6:4, 1:6 6:4; მიხაელ კრატოხვილი (შვეიცარია) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:4, 6:1, 6:2; ქსავიე მალისი (29, ბელგია) — ტომას ბერენდი (გერმანია) 6:4, 6:4 7:5; ატილა სავოლტი (უნგრეთი) — ოლივიე პაციენსი (საფრანგეთი) 6:3, 3:6, 6:3, 3:6, 6:4; ტომი ჰაასი (7, გერმანია) — ანდრეი სტოლიაროვი (რუსეთი) 6:1, 6:3, 6:1; უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) — ჟან მაიკლ გემბილი (19, აშშ) 6:2, 6:4, 7:6 (8:6); დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) — დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) 7:6 (7:0), 3:6, 6:3, 6:3; ანდრეი პაველი (25, რუმინეთი) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 6:4, 6:3, 3:6, 6:2; ჟან ფრანსუა ბაჩელო (საფრანგეთი) — სტეფანო გალვანი (იტალია) 6:2, 7:5, 7:5; ენდი როდიკი (13, აშშ) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 6:3, 5:7, 6:3, 6:3; კარლოს მოია (17, ესპანეთი) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 2:6, 6:7 (3:7), 6:4, 7:6 (7:4), 0:1 (ტრავმა); არნო კლემანი (15, საფრანგეთი) — ფლავიო სარეტა (ბრაზილია) 6:4, 7:6 (7:5), 6:4

#### ქალები

ივა მაიოლი (ხორვატია) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (14, ესპანეთი) 6:4, 7:5; ანასტასია მისკინა (რუსეთი) — ვინე პრაკუსია (ინდონეზია) 6:7 (3:7), 6:2, 6:2; კიმ კლაისტერსი (4, ბელგია) — კრისტინა უილერი (ავსტრალია) 6:2, 6:1; ემანუელა გალიარდი (შვეიცარია) — ლინა კრასნორუცკაია (30, რუსეთი) 6:1, 6:7 (7:9), 8:6; ბარბარა შვარცი (ავსტრია) — ევა დირბერგი (დანია) 6:1, 6:4; ელენა დემენტიევა (12, რუსეთი) — ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) 6:3, 6:2; იროდა ტულიაგანოვა (16, უზბეკეთი) — მარია ემილია სალერნი (არგენტინა) 6:3, 6:4; ტამარინ ტანასუგარნი (25, ტაილანდი) — სელინა სფარი (ტუნისი) 6:4, 6:3; მარტინა მიულერი (გერმანია) — პაოლა სუარესი (27, არგენტინა) 6:3, 6:4; იანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) — პავლინა ნოლა (ახალი ზელანდია) 6:1, 6:0; პეტრა მანდულა (უნგრეთი) — ანსა ბარნა (გერმანია) 6:4, 6:4; მეგან შონესი (10, აშშ) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 6:7 (5:7), 6:2, 7:5; ნიკოლ პრატი (ავსტრალია) — სოფია გუბაზი (უნგრეთი) 6:7 (6:8), 6:2, 6:3; ამელი მორესმო (7, საფრანგეთი) — ჯანეტ ლი (ტაივანი) 6:1, 6:0; ტატიანა პანოვა (29, რუსეთი) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) 1:6, 6:3, 10:8; კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) — ანა სმაშნოვა (ისრაელი) 6:2, 6:2; მარია ელენა კამერინი (იტალია) — საორი ობატა (იაპონია) 7:5, 6:4; მარტა მარერო (ესპანეთი) — ადრიანა მონტოლიო (19, ესპანეთი) 6:3, 6:3; ჯენიფერ კაპრიატი (1, აშშ) — სილვია ტალაია (ხორვატია) 6:4, 6:1; რიტა გრანდე (20, იტალია) — კლარისა ფერნანდესი (არგენტინა) 7:6 (7:4), 6:4; ანტონელა სერა ძანეტი (იტალია) — ელენა ბოვინა (რუსეთი) 6:2, 6:2; სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) — ჩო იონ ჯეონგი (სამხრეთ კორეა) 6:3, 2:6, 6:4; მეილენ ტიუ (აშშ) — ჯოანეტ კრიუგერი (სამხრეთ აფრიკა) 7:6 (7:2), 6:0; ბრაიან სტიუარტი (ავსტრალია) — იანა ნეიედლი (კანადა) 6:4, 6:4; კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — ლინა კრასნორუცკაია (33, რუსეთი) 3:6, 6:3, 2:0 (ტრავმა); კრისტი ბოგერტი (ჰოლანდია) — გლორია პიზიჩინი (იტალია) 6:3, 6:3; ჟიუსტინ ენენი (6, ბელგია) — ანა კურნიკოვა (რუსეთი) 6:2, 7:5; აი სუგიამა (24, იაპონია) — რეიჩელ მაკქუილანი (ავსტრალია) 6:7 (7:9), 6:3, 6:3; ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) — რიტა კუტი კისი (უნგრეთი) 4:6, 7:6 (7:2), 6:4; ტინა პისნიკი (სლოვენია) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:3, 4:6, 9:7; მაგუი სერნა (23, ესპანეთი) — ამანდა გრემი (ავსტრალია) 6:3, 6:3; სინდი უოტსონი (ავსტრალია) — მარია ხოსე მარტინესი (ესპანეთი) 6:3, 6:3

## ქალების ბადე


ელექტრონული ბიბლიოთეკა

... ჯენიფერ კაპრიატი

- 1/32, 1/16, 1/8, 1/4, 1/2
- კაპრიატი (1) 2:0 ტალაია
- ტიუ 2:0 კრიუგერი
- კუტი კისი 1:2 დანილიდუ
- მოლიკი 1:2 პანოვა (29)
- გრანდე (20) 2:0 ფერნანდესი
- პიზიჩინი 2:0 ბოგერტი
- კუზნეცოვა 2:1 ჩო
- სალერნი — ტულიაგანოვა (16)
- შონესი (10) 2:1 სტივენსონი
- სტიუარტი 2:0 ნეიედლი
- სერა ძანეტი 2:1 ბოვინა
- ვაინგარტნერი 2:0 მონტოლიო (19)
- ტანასუგარნი (25) — სფარი
- მანდულა 2:0 ბარნა
- სრებოტნიკი 2:0 სმაშნოვა
- ლი 0:2 მორესმო (7)
- კლაისტერსი (4) — ველერი
- შვარცი — დირბერგი
- მარტინესი 0:2 უოტსონი
- გალიარდი 2:1 ლიხოვცევა (30)
- სუგიამა (24) 2:1 მაკქუილანი
- პისნიკი 2:1 ბარტოლი
- ჰუსაროვა 2:0 ნოლა
- მაიოლი — სანჩეს-ვიკარიო (14)
- დემენტიევა (12) — ჟიდკოვა
- პრაკუსია — მისკინა
- ობატა 0:2 კამერინი
- გრაჰამე 0:2 სერნა (23)
- სუარესი (23) — მიულერი
- გუბაზი 1:2 პრატი
- მარერო 2:0 გერსი
- კურნიკოვა 0:2 ენენი (6)
- კრასნორუცკაია (33) 1:2 მარტინესი
- სვენსონი 2:0 დომინიკოვიჩი
- სუხა 2:1 ლეონ გარსია
- დიას-ოლივა 2:0 ტორესი (26)
- ნაგიოვა (22) 0:2 ფრეზერი
- რუანო პასკუალი 1:2 სერა ძანეტი
- სელიუტინა 1:2 ჰოპკინსი
- ოსტერლო 1:2 ფარინა ელია (11)
- კუტცერი (15) 2:0 ორემანსი
- ტატარკოვა 0:2 დე ლოს რიოსი
- ლამოსტერა ვივესი 2:0 კანდარი
- გლასი 0:2 შეტი (17)
- კრემერი (28) 2:0 ხლადკოვა
- რიტნერი 2:0 ბესი
- არნი 2:1 სტოსური
- რაზანო 0:2 ჰინგისი (3)
- სელეში (8) 2:0 შნაიდერი
- კ. ბლეკი 2:0 ლუა
- რივზი 1:2 კოსტანიჩი
- კარპოსი 1:2 სკიანოვე (31)
- ბედანოვა (21) 2:0 პუჩეკი
- მუტსინი 1:2 მედინა გარიგესი
- ბიგბედერი 1:2 ლამადე
- დეში 2:1 ტესტიუ (9)
- მალეევა (13) 2:0 მიქაელიანი
- ასაგოე 1:2 ჰრდლიჩკოვა
- პირსი 0:1 (ტრავმა) პრეიბასი
- ნოორლანდერი 0:2 რეიმონდი (18)
- ჰანტუჩოვა (32) 2:0 მატევეიჩი
- ირვინი 0:2 გარბინი
- ბრანდი 2:1 სერვანოვა
- კერგილი 0:2 ვ. უილიამსი (2)

ჭადრაკი

გავიდა ხანი (ორი კვირა) და მოსკოვში ჭადრაკი დაბრუნდა: დღეს რუსეთის დედაქალაქში ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი იწყება. უმნიშვნელოვანეს საჭადრაკო დაფაზე ორივე მხარეს ორფერი დროშები იდგმება, ფინალი უკრაინულია. აქეთ ვასილი ივანჩუკი, იქით — რუსლან პონომარიოვი.


ვასილი ივანჩუკი


რუსლან პონომარიოვი

# უკრაინობა მოსკოვში

## ყოფილი და მოქმედი ვუნდერკინდები გვირგვინს ეგდაუჭებიან

**14-წლიანი** სხვაობა თუ არ ჩავთვალეთ, ორი ფინალისტის კარიერა უაღრესად მსგავსია. 1969 წლის 18 მარტს დაბადებული ივანჩუკი სერიოზულ ჭადრაკში 80-იანი წლების დასაწყისიდან გამოჩნდა და უსწრაფესად გახდა მსოფლიოს მასშტაბის ვარსკვლავი. ლეგენდებს ჰყვებოდნენ მის ადრეულ სადებიუტო ცნობიერებასა და გენიალურ ტაქტიკურ ტალანტზე. შემდეგ ივანჩუკმა დიდი შრომით აითვისა სტრატეგია და გახდა ერთი იმათგანი, ვისგანაც მსოფლიოს ჩემპიონობას ელოდნენ. 22 წლისა ივანჩუკი ზენიტზე იდგა, 1991 წლის ლინარესი მოიგო და მერე როგორ! პირად შეხვედრებში დაამარცხა კასპაროვი, კრამნიკი, ანანდი... უკრაინა მისი ფანებით გაივსო, გამოსცეს წიგნი ივანჩუკის პარტიებით და ასე შემდეგ. მერე კი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ივანჩუკს ძალთა გაფურჭვნის ხანაში მყოფმა არტურ იუსუპოვმა 5,5:4,5 მოუგო. ეს იყო ივანჩუკის ქრონიკულ წარუმატებლობათა სიგნალი სწორედ ჩემპიონატის ტიპის ტურნირებში: ძველი სისტემით შერჩევას ერთხელაც ვერ დაუძვრა, ჩქარა გამოვარდა ნოკაუტ-ჩემპიონატებიდანაც (1997 წელს ლოზანაში, 1999 — ლას ვეგასში და შარშანწინ — დელიში). ჩვეულებრივ ტურნირებში წარმატებების მიუხედავად, ცხადი გახდა, რომ ივანჩუკი ეშვებოდა, როგორც გაირკვა — დროებით. დეკემბრის მოსკოვში სულ სხვა ივანჩუკი გამოჩნდა, აღარსად იყო ადრეული საშინელი შეცდომები და ნახევარფინალში ანანდის დამარცხება ხომ ცალკე თემაა.

წარსული დროის აწმყოდ გადაკეთება საკმარისია, რათა ზემორე ინფორმაციამ რუსლან პონომარიოვის ზოგადი დახასიათებისთვის იკმაროს. პონომარიოვმა ჭადრაკი 7 წლისამ ისწავლა, 4 წლის შემდეგ მომავალ მსოფლიოს ჩემპიონს ეძახდნენ. გამოვტოვოთ ის ამბავი, რომ 18 წლისას მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი არავის უთამაშია, სხვა ფაქტებია კიდევ საყურადღებო: 12 (!) წლის იყო, როცა 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი მოიგო, მერე იმავე ფორმატის მსოფლიოსი და 14 წლისა ჭადრაკის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატი გახდა. ელისტის ოლიმპიადაზე 9-დან 7 ქულა დააგროვა, დონეცკში ზონალური ტურნირი მოიგო, 18 დიდოსტატს გაუსწრო და ბოლოს 7-დან 6 პარტია მოიგო ბავშვთა ოლიმპიადაზე. გაიცინეთ: რაღა დროს მაგის ბავშვთა ოლიმპიადა იყო...

სტატისტიკოს ჯეფ სონასის გამოთვლებით, პონომარიოვის სპორტული ზრდის ტემპი უნიკალურია, იგი შარშან უკვე უკრაინის ჭადრაკის ლიდერობაზე აცხადებდა პრეტენზიას. უკრაინა რომ მსოფლიოს გუნდური ჩემპიონი გახდა, ძირითადად მისი „ბრალი" იყო, ყველა საკვანძო პარტია მოიგო.

ჰქონდა ჩავარდნებიც, რადგან რობოტი არ არის. მსოფლიოს თასზე (ჩინეთში) 5-დან 1,5 ქულა დააგროვა და მე-5 ტურში წააგო ვისთან? ივანჩუკთან. ეს მათი პირველი და აქამდე ბოლო პარტია იყო, დღეიდან 28 იანვრამდე კი 8 კლასიკს კიდევ ითამაშებენ, თუ ბლიცებიც არ გახდა საჭირო.

**დავით ბულუა**

რაგბი

# ტოროს კორიდა მოენატრა

## ლევან ცაბაძე საა[illegible] საზარდულმა და[illegible]

**საშობაო** არდადეგების დადგომამდე ევროპის საკლუბო თასის ჯგუფური ეტაპის ორი ტური იყო დარჩენილი. ახალ წლამდე მეოთხედფინალში თავი ჯერ არავის ჰქონდა დაგულებული, თუმც თუ სასწაული არ მოხდებოდა, შემდეგ ეტაპზე გასულებად „ბათი", „მანსტერი" და „ლენსტერი" უნდა ჩაგვეთვალა. მეოთხედფინალისტობის ჩინებული შანსი ჰქონდა ლევან ცაბაძის „კასტრსაც", თუნდაც როგორც ორიდან ერთ-ერთ საუკეთესო მეორეადგილოსანს.

„კასტრი" თავის ჯგუფში მეორე ადგილზე მყარად დამკვიდრებულიყო და თუ ნაარდადეგევს შოტლანდიური „ბრიჯენდს" სტუმრად აჯობებდა და შინ ირლანდიური „მანსტერს" გაუსწორდებოდა, ჯგუფში პირველობასაც წაეპოტინებოდა. ფრანგულმა კლუბმა ორივე შეხვედრა მოიგო, მაგრამ წინ მაინც „მანსტერი" გაუშვა, რაკი ამას ბურთების უკეთესი სხვაობა ჰქონდა.

არც ერთ მატჩში არ უთამაშია ბორჯღალოსანთა ლიდერ ლევან ცაბაძეს. ჩვენებური საზარდულის ტკივილს შეუწუხებია და დასტაქართა ხელში დარჩა. თუმც არც თავისი „ტოროს" (ლეონსიოს საფრანგეთში ასეთი მეტსახელიც შეარქვეს) გარეშე გაიჭირვა „კასტრმა". ფრანგები „ბრიჯენდს" სტუმრად და ერთი კვირის თავზე შინ „მანსტერსაც" იოლად გაუსწორდნენ. ახლა „კასტრი" მეოთხედფინალისთვის ემზადება — 26 იანვარს მეტოქედ ასევე ფრანგული „მონფერანი" ეყოლება, რომელმაც თავის მხრივ მეხუთე ჯგუფში იპირველა. იმედია, ქართველი მორაგბე 26 იანვარს სრულ მზადყოფნაში შეხვდება. ცაბაძე ხომ ამ უქმეებზე დაუბრუნდება მოედანს.

მეოთხედფინალში გავიდა კიდევ ერთი ფრანგული კლუბი „სტად ფრანსე", ვისაც „კასტრის" უკან მომტოვებელ „მანსტერთან" მოუწევს საქმის დაჭერა. თუ საფრანგეთი სამი გუნდითაა წარდგენილი, ორ-ორი გუნდი შემორჩათ ინგლისელებს და ირლანდიელებს. ერთი „ჰლანეჰლის" იმედზე კი უელსელები არიან. ინგლისური „ბათი" უელსურ „ჰლანეჰლს" დაუხვდება, რომელმაც „კასტრთან" ერთად საუკეთესო მეორეადგილოსნის კუთვნილი მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა.

შარშანდელი გამარჯვებული ინგლისური „ლესტერი" თითქმის სეხნია ირლანდიურ „ლენსტერს" უმასპინძლებს. მუშათა ქალაქის მკვიდრებს კელტების ბარიერის დაძლევა არ უნდა გაუჭირდეთ და ვინძლო ფინალამდე უპრობლემოდ იარონ.

**ბაჩო სვანიძე**

Heineken Cup

## ევროპის თასი. V-VI ტურები

**IV ჯგუფი**

V ტური. 5 იანვარი

**ბრიჯენდი 26:37 კასტრი**

**მანსტერი 52:17 ჰარლიქვინზი**

VI ტური. 12 იანვარი

**კასტრი 24:13 მანსტერი**

**ჰარლიქვინზი 29:25 ბრიჯენდი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მანსტერი | 6 | 5 | 0 | 1 | 10 |
| კასტრი | 6 | 5 | 0 | 1 | 10 |
| ჰარლიქვინზი | 6 | 2 | 0 | 4 | 4 |
| ბრიჯენდი | 6 | 0 | 0 | 6 | 0 |

**I ჯგუფი**

V ტური. 4 იანვარი

**პერპინიანი 42:10 ჰლანეჰლი**

5 იანვარი

**ლესტერი 29:7 კალვისანო**

VI ტური. 12 იანვარი

**ჰლანეჰლი 24:12 ლესტერი**

**კალვისანო 18:33 პერპინიანი**

*ლესტერი 10 ქულა, ჰლანეჰლი 8, პერპინიანი 6, კალვისანო 0*

**II ჯგუფი**

V ტური. 5 იანვარი

**ტრევიზო 6:59 სტად ფრანსე**

6 იანვარი

**უოსპსი 36:32 ოლსტერი**

VI ტური. 11 იანვარი

**ოლსტერი 59:3 ტრევიზო**

12 იანვარი

**სტად ფრანსე 60:17 უოსპსი**

*სტად ფრანსე 10 ქულა, ოლსტერი 8, უოსპსი 4, ტრევიზო 2*

**III ჯგუფი**

V ტური. 5 იანვარი

**სუონსი 12:24 ბათი**

**ბიარიცი 45:14 ედინბურგი**

V ტური. 11 იანვარი

**ედინბურგი 30:20 სუონსი**

12 იანვარი

**ბათი 31:13 ბიარიცი**

*ბათი 12 ქულა, ბიარიცი 5, სუონსი 4, ედინბურგი 3*

**V ჯგუფი**

V ტური. 4 იანვარი

**გლაზგო 31:27 ნორთჰემპტონი**

5 იანვარი

**კარდიფი 26:20 მონფერანი**

VI ტური. 12 იანვარი

**ნორთჰემპტონი 26:15 კარდიფი**

13 იანვარი

**მონფერანი 44:13 გლაზგო**

*მონფერანი 9 ქულა, კარდიფი 6, გლაზგო 5, ნორთჰემპტონი 4*

**VI ჯგუფი**

V ტური. 5 იანვარი

**ტულუზა 36:23 ნიუპორტი**

6 იანვარი

**ნიუკასლი 15:17 ლენსტერი**

VI ტური. 11 იანვარი

**ნიუპორტი 53:17 ნიუკასლი**

13 იანვარი

**ტულუზა 43:7 ლენსტერი**

*ლენსტერი 10 ქულა, ნიუპორტი 6, ტულუზა 6, ნიუკასლი 2*

**მეოთხედფინალი. 26 იანვარი**

**ბათი — ჰლანეჰლი**

**სტად ფრანსე — მანსტერი**

**კასტრი — მონფერანი**

**27 იანვარი**

**ლესტერი — ლენსტერი**

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

14 იანვარი

**რეინჯერსი 2:2 კოლუმბუსი**

**1:0 1:1 0:1 0:0**

**1:0 ფლერი (10), 2:0 ა. იუჰანსონი (23), 2:1 უიტნი (24), 2:2 რაიტი (59)**

რეინჯერსს საახალწლოდ სულ წაუხდა საქმე — 2 ქულა 7 თამაშში.

**ვაშინგტონი 1:0 ბოსტონი 0:0 0:0 0:0 1:0**

**1:0 ზუბრუსი (61)**

ერთადერთი გოლი გავიდა ადამ ოუთსის ზუსტი პასის შემდეგ, რომელიც სახელოვანი პლეიმეიკერის კარიერაში მე-1000 გამოდგა. აქამდე ეს მხოლოდ შვიდმა მოთამაშემ მოახერხა

**მონრეალი 3:5 ფილადელფია**

**2:1 1:1 0:3**

**1:0 პეტროვი (8), 1:1 პრიმო (9), 2:1 პეტროვი (12), 2:2 ლეკლერი (36), 3:2 პეტროვი (38), 3:3 ლეკლერი (53), 3:4 განიე (57), 3:5 რენიკი (60)**

ოლეგ პეტროვმა სამივე გოლი დუგ გილმორის პასებით გაიტანა. ამათგან ბოლო გილმორისთვის 928-ე გამოდგა და იგი ნჰლ-ის მეპასეთა სიაში მე-12 ადგილზე დადგა.

**ჩიკაგო 2:1 ედმონტონი 0:0 0:1 2:0**

**0:1 გრირი (23), 1:1 ჟამნოვი (45), 2:1 ბოუსლი (46)**

**ანაჰაიმი 5:3 ნეშვილი 3:0 1:2 1:1**

**1:0 მაკინისი (7), 2:0 კარია (4), 3:0 კარია (19), 3:1 ერატი (22), 4:1 კარია (32), 4:2 რონინგი (36), 4:3 ტიმონენი (44), 5:3 კალენი (60)**

კარიერაში მე-6 ჰეთ თრიქი ნეტავ თუ გაახარებს პოლ კარიას, რომლის ანაჰაიმმა ბოლო 8 მატჩში პირველად მოიგო.

**ჩრდილო აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბოსტონი | 46 | 25 | 3 | 5 | 13 | 132:107 | 58 |
| ტორონტო | 46 | 25 | 5 | 3 | 13 | 137:112 | 58 |
| ოტავა | 45 | 24 | 4 | 2 | 15 | 145:111 | 54 |
| მონრეალი | 46 | 18 | 6 | 2 | 20 | 118:128 | 44 |
| ბუფალო | 45 | 18 | 4 | 1 | 22 | 120:119 | 41 |

**ატლანტიკა**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 44 | 26 | 5 | 1 | 12 | 138:101 | 58 |
| აილენდერსი | 44 | 22 | 5 | 2 | 15 | 121:119 | 51 |
| რეინჯერსი | 48 | 22 | 4 | 3 | 19 | 129:141 | 51 |
| ნიუ ჯერსი | 44 | 19 | 5 | 2 | 18 | 104:105 | 45 |
| პიტსბურგი | 44 | 16 | 5 | 2 | 21 | 94:122 | 39 |

**სამხრეთ აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კაროლინა | 48 | 21 | 5 | 5 | 17 | 132:144 | 52 |
| ვაშინგტონი | 47 | 19 | 8 | 0 | 20 | 133:143 | 46 |
| ტამპა | 44 | 16 | 4 | 2 | 22 | 85:96 | 38 |
| ფლორიდა | 45 | 14 | 3 | 3 | 25 | 91:132 | 34 |
| ატლანტა | 46 | 10 | 6 | 3 | 27 | 107:167 | 29 |

**ცენტრი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 45 | 32 | 3 | 2 | 8 | 145:99 | 69 |
| ჩიკაგო | 49 | 27 | 8 | 0 | 14 | 141:131 | 62 |
| სენტ ლუისი | 44 | 23 | 6 | 3 | 12 | 125:97 | 55 |
| ნეშვილი | 45 | 16 | 8 | 0 | 21 | 119:124 | 40 |
| კოლუმბუსი | 45 | 12 | 7 | 1 | 25 | 89:128 | 32 |

**ჩრდილო დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ედმონტონი | 48 | 23 | 7 | 2 | 16 | 125:114 | 55 |
| კოლორადო | 46 | 24 | 6 | 0 | 16 | 116:95 | 54 |
| კალგარი | 45 | 19 | 8 | 2 | 16 | 111:114 | 48 |
| ვანკუვერი | 47 | 19 | 4 | 1 | 23 | 126:127 | 43 |
| მინესოტა | 46 | 16 | 8 | 3 | 19 | 115:135 | 43 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სან ხოსე | 44 | 22 | 6 | 3 | 13 | 132:109 | 53 |
| დალასი | 45 | 21 | 6 | 4 | 14 | 122:117 | 52 |
| ლოს ანჯელესი | 45 | 19 | 7 | 2 | 17 | 117:106 | 47 |
| ფინიქსი | 44 | 18 | 6 | 3 | 17 | 110:118 | 45 |
| ანაჰაიმი | 48 | 14 | 6 | 3 | 25 | 104:122 | 37 |

ხელბურთი

# ლიგის ჩემპიონებმა მსოფლიოს ჩემპიონებს აჯობეს

**ზამთრის** თოვლიანყინულიანი სახეობების გარდა იანვარი სახელბურთოთვედაც შეიძლება ჩაითვალოს. ერთი კვირაა, რაც ვაჟთა მსოფლიოს 2003 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის თამაშები დაიწყო, თვის ბოლოს კი შვედეთში მათივე ევროპული პირველობის დასკვნითი ტურნირი მოეწყობა.

არც ქალები არიან გულხელდაკრეფილნი: ევროპის 16 უძლიერესი კლუბი ჩემპიონთა ლიგის მორიგ გათამაშებაში ჩაება. ლიგის შარშანდელ ბინადართაგან ზუსტად ნახევარმა თავისი ადგილი შეინარჩუნა, ერთი ამდენივე კი შესარჩევი მატჩების შემდეგ გამოვლინდა. შედეგად დანიას, ესპანეთსა და უნგრეთს ორ-ორი წარმომადგენელი ჰყავთ.

ასპარეზობის სისტემა ვაჟთა ტურნირის ანალოგიურია: ორწრიანი ჯგუფური ეტაპის შემდეგ რვა საუკეთესო ბრძოლას პლეი ოფის წესით გააგრძელებს.

პირველ ტურში ყველაზე უკეთ უნგრელები გამოიყურებოდნენ — ორივე კლუბმა გამარჯვება მოიპოვა. რასაკვირველია, თითო მატჩის შედეგით სერიოზული მსჯელობა ნაადრევია, თუმცა სულაც არაა გამორიცხული, რომ ასეთი აქტიური დასაწყისის მერე „დუნაფერიც" და „ჰერციც" მეოთხედფინალში ვიხილოთ.

ფავორიტებად (რეიტინგის მიხედვით) ითვლებიან ლიგის შარშანდელი გამარჯვებული სლოვენიის „კრიმ ნეუტრო რობერტსი", აგრეთვე ფინალისტი და ევროპის საკლუბო ჩემპიონი დანიის „ვიბორგი". სლოვენიელებმა გათამაშება ჩემპიონის საკადრისად, მოგებით დაიწყეს, თუმცა ვოლგოგრადში მათ მხოლოდ მატჩის მიწურულს მოახერხეს რუსეთის უძლიერესი გუნდის წინააღმდეგობის დაძლევა. აღსანიშნავია, რომ „აკვას" შემადგენლობაში თამაშობს მსოფლიოს ოთხი ჩემპიონი: მეკარე ტატიანა ალიზარი, ლუდმილა ბოდნიევა, ელენა ჩაუსოვა და ნადეჟდა მურავიოვა.

**გია ახალაძე**

**ჩემპიონთა ლიგა. ქალები**

ჯგუფური ეტაპი. პირველი ტური

**A ჯგუფი**

**ბეზანსონი (საფრანგეთი) 22:27 მოტორი (უკრაინა)**

**ზალაუ (რუმინეთი) 29:29 ლარვიკი (ნორვეგია)**

**B ჯგუფი**

**ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) 33:27 მილარი (ესპანეთი)**

**გოგ გუდმე (დანია) 19:20 დუნაფერი (უნგრეთი)**

**C ჯგუფი**

**ფეროზუსი (ესპანეთი) 31:23 ვიბორგი (დანია)**

**ჰერცი (უნგრეთი) 27:25 ჰიპო (ავსტრია)**

**D ჯგუფი**

**აკვა (რუსეთი) 22:24 კრიმი (სლოვენია)**

**კომეტალი (მაკედონია) 28:25 მონტექსი (პოლონეთი)**

# მერი და ვარსკვლავი მიწაზე



ვარსკვლავი არსებობს ცაში, კინოში, სპორტში, კონიაკზე, სასტუმროზე და მიწაზე, მიწაზე ვარსკვლავი ჰოლივუდელთა გამოგონილია და დიდ პატივისცემად ითვლება. აი, მაგალითად, ლეგენდარულ [illegible] პარკინსონით სნეულ მოკრივეს, მუჰამედ ალის რომ გაუხსნეს, [illegible] ვარსკვლავია ჰოლივუდის მიწაზე. ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალს კი ჰოლივუდის საპატიო მერი ჯონი გრანტი დაესწრო და ალის ასიამოვნა: მოკრივემ ვითომ მუშტი სდრუზა, ეს ბებერი კაცი კი ადგა და მართლა გაიშოტა. და ბოლოს, მუჰამედ ალის ვარსკვლავი პირველია „კოდაკ თეატრის" შესასვლელთან. სხვა თეატრების წინ, ეტყობა, ადგილი აღარ არის.





REUTERS ლოს ანჯელესიდან

# მამიკოსთან მივდივართ

ეს ახალგაზრდა დედიკო ჩოგბურთელყოფილი და მილიონერი შტეფი გრაფია, ხოლო შვილიკო ჯედენ გილ ანდრეს ძე აგასი. მამიკოს, ჩოგბურთელს და ასევე მილიონერს ცოლ-შვილი მელბურნში, ავსტრალიის ღია პირველობაზე წაუყვანია და ეს ფოტოც იქაა გადაღებული.



REUTERS ბუენოს აირესიდან

# შვიდობა არგენტინაში

ა[illegible]ნტინაში, კერძოდ, ბუენოს აირესში შვიდკაცა რაგბია გაჩაღებული. ფიჯიმ ახალ ზელანდიას 5:0 მოუგო და სწორედ ამ მატჩის მომენტს ხედავთ ფოტოზე: ფიჯელები ახალზელანდიელ დამიან კარაუნას აჩერებენ.



REUTERS მელბურნიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი მამუკა გუბელაძე
ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge